№ 88

სამშაბათი, 31 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 88

სამშაბათი, 31 მაისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

(30—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ—ქალის. და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. მ. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 [illegible] ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

«ფილოსოფიური» პუბლიცისტიკა.

«ცნობის ფურცელს» ერთი საინტერესო «ფილოსოფოსი» ჰყავს. მისი ინიციალები გ. რ. გახლავთ. ეს მწერალი, რა საგანსაც უნდა შეეხოს, ყოველთვის «ფილოსოფიაში» შესტოპავს და თავის-თავად მარტივ და ყველასათვის გასაგებ საკითხს ბურუსითა და ბუნდოვანობით შემოსავს. ჰკითხულობთ მის ნაწერს და უცებ ვერ იგებთ, თუ რად ხდება ასეთი მოვლენა, რად ეხვევა მეტაფიზიკის ღრუბელში ისეთი საგანი, რომელიც არსებითად ამ ქვეყნიურია, რეალურია, და ამიტომ მისი ახსნაც ქვეყანაზე არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან უნდა იყოს შეთანხმებული. ჩვენის აზრით, ამგვარ „პუბლიცისტიკის“ მიზეზი არის ჟინი თავისებურ „ფილოსოფოსობისა“, რომელიც ბ-ნ გ. რ-ს, ეტყობა, ძალიან გამჯდარი აქვს ძვალსა და რბილში და ამიტომ, ნაცვლად დაკვირვებასა და ცხოვრების სინამდვილეზე დამყარებულ აზრისა, სხვადასხვა განყენებულ „ფილოსოფიურ“ მოსაზრებას აწერინებს...

მაგალითად, ამ რამდენისამე დღის წინად («ცნ. ფ.» № 2828) ბ-ნმა გ. რ.-მ შემდეგი «მოსაზრება» გამოსთქვა ერთ თავის წერილში:

„მშვიდობიანურ ბრძოლის აზრი ამჟამად უმთავრესად საზოგადოების კლასობრივს წყობილებაზეა დამყარებული. კაპიტალისტების და მუშების კლასთა ინტერესი ერთიმეორეს ეწინააღმდეგება, ამის გამო მათ შორის მუდმივი ბრძოლა სწარმოებს. კაპიტალისტი სცდილობს, რაც შეიძლება იაფად დაიქირაოს მუშა და რაც შეიძლება მეტი დრო ამუშაოს, მუშა კი, პირიქით, იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება მეტი გასამრჯელო გამოართვას და რაც შეიძლება ნაკლები დრო იმუშაოს. ინტერესების წინააღმდეგობა ცხადია, მაგრამ ეს წინააღმდეგობა მაინც იმ სახისა არ არის, რომ მოწინააღმდეგეთა შორის არავითარი საერთო ნიადაგი არა რჩებოდეს; პირიქით, ეს საერთო ნიადაგი ურთიერთობისა აქ ძალიან დიდია და ძლიერი: კაპიტალისტს უმუშოდ ცხოვრება არ შეუძლიან, მუშას უკაპიტალისტოდ, ამიტომ ისინი აუცილებლად სცდილობენ შეთანხმებას და შეკავშირებას. საერთო ნიადაგს აქ ის წარმოადგენს, რომ კაპიტალისტთა კლასს მიზნად მუშათა კლასის მოსპობა არა აქვს და მუშათა კლასს კიდევ—კაპიტალისტთა სამუდამოდ ადგვა დედამიწის პირიდან; ორივენი კერძო საკუთრების ნიადაგზე სდგანან და აი, სწორედ ეს კერძო საკუთრებაა, რომელსაც ორივენი ურიგდებიან და რომელიც შესაძლოდ და თან აუცილებლადაც ჰხდის მათ შორის ბრძოლასაც და შეთანხმებასაც. სრულიად სხვა სურათი გაჩნდება ჩვენს წინაშე, როდესაც მუშათა კლასი სამუშაო დროსა და ხელფასის რაოდენობაზეკი არ შეეკამათება კაპიტალისტებს, არამედ პირდაპირ კერძო საკუთრების გაუქმებას მოითხოვს. მაშინ მუშებისა და კაპიტალისტების ურთიერთობისათვის უოველივე ნიადაგი მოისპობა, გაუქმდება ის ძაფი, რომლითაც ეხლანდელს ბრძოლაში საკუთრება აკავშირებს მათ, და ამასთანავე მათ შორის მშვიდობიანური, წყნარი ბრძოლაც მოისპობა; მაშინ ან ერთ-ერთმა კლასმა თავისი მიზანი, თავისი კლასობრივი იდეალი უნდა უარჰყოს, ან და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა ასტყდეს, ბრძოლა მსხვერპლებით, ე. ი. ნამდვილი სამოქალაქო ომი“.

ცხადია, ვინც ამას წაიკითხავს, ავტორის განზრახვას იმგვარად გაიგებს, რომ მას საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობისა და განწყობილების გამორკვევა სწადიან და ამიტომ ლაპარაკობს მუშასა და კაპიტალისტზე. ერთიცა და მეორეც მას ნახსენები ჰყავს ვითარცა წარმომადგენელი განსაზღვრულ სოციალურ კლასისა და მატარებელი ამ კლასის ინტერესების და კლასობრივ მიმართულებისა. პუბლიცისტს მხოლოდ ამ მხრივ შეუძლიან შეხედოს საზოგადოებრივ საკითხს, ვინაიდან მისთვის ამა თუ იმ კერძო მუშის—ვთქვათ, პეტრესი—ან კერძო კაპიტალისტის—ვთქვათ, პავლესი—აზრ-შეხედულებას სრულიად არა აქვს მნიშვნელობა. შეიძლება, ესა თუ ის მუშა დიდი მომხრე და ქომაგი იყოს კაპიტალისტურ წესწყობილებისა. მაგრამ ეს კიდევ იმის მაჩვენებელი არ იქნება, რომ საერთოდ მთელი მუშა-ხალხი, ვითარცა კლასი, ქომაგობასა და მომხრეობას უწევს ამ წესწყობილებას. შეიძლება აგრეთვე, ესა თუ ის კაპიტალისტი, როგორც კერძო ადამიანი, მომხრე იყოს სოციალიზმისა,—ასეთი მაგალითები არის,—მაგრამ ეს იმას არ დაამტკიცებს, რომ საზოგადოდ კაპიტალისტთა კლასობრივი ინტერესი მოითხოვდეს სოციალიზმის განხორციელებას. ამგვარად, როცა ბ-ნი გ. რ. ლაპარაკობს მუშასა და კაპიტალისტზე, ამით—გვგონია ჩვენ—მას მხედველობაში განსაზღვრული კლასები ჰყავს და მათს ურთიერთობას გვირკვევს.

ასეა ეს გასაგები და ჩვენც ასე გავიგეთ და ერთ წინანდელ წერილში („ივ.“ № 85) კიდეც აღვნიშნეთ. ბ-ნი გ. რ. არ დაკმაყოფილებულა ჩვენის შენიშვნით და „ცნ. ფურცლის“ კვირის ნომერში სამს სვეტზე „ორიოდე სიტყვიან“ პასუხს გვაძლევს. რა გაეწყობა,—დავუბრუნდებით ბ-ნ გ. რ.-ს „ფილოსოფიის“,—იქნება ახლა მაინც დარწმუნდეს ეს გრძლად მეტყველი მწერალი, რომ მისი „ფილოსოფია“ ცოტათი სუსტია და ყოველ შემთხვევაში სინამდვილეზე ძალიან დაშორებულია.

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ ყოველგან დედა-მიწის ზურგზე მუშა-ხალხი განსაკუთრებულ პარტიებს შეადგენს, რომელთაც პროგრამაში ძირითად საგნად სოციალიზმი უწერიათ. სოციალისტური წესწყობილება ნიშნავს კერძო საკუთრების მოსპობას საწარმოვო იარაღებზე, და მუშა-ხალხი, ვითარცა მებრძოლთა კლასი, ამ იდეალს ემსახურება და იბრძვის მის განსახორციელებლად. ვისაც ცოტათი მაინც გაცნობილი აქვს თანამედროვე სოციალური მოძრაობა, ვერ იტყვის, რომ მუშათა კლასი, მსგავსად კაპიტალისტთა კლასისა, საწარმოვო იარაღებზე კერძო საკუთრებას სცნობს შეურყევლად და ეს „საერთო ნიადაგია“ ორ მოწინააღმდეგე კლასისთვისო. მუშათა კლასის რომელ ფრაქციის პროგრამაც უნდა აიღოთ, ყველგან სწერია საწარმოვო იარაღებზე კერძო საკუთრების უარისყოფა და მათი გასაზოგადოებრივობა ეს არის ის დიადი მიზანი, რომელიც დასახული აქვს მთელის ქვეყნიერობის მშრომელ ხალხს.

უნდა გამოვტყდეთ, გვრცხვენია, როცა ასეთ საზოგადოდ ცნობილ ამბავს ვიმეორებთ, მაგრამ რას იზამთ, როცა ასეთი ამბავიც ბ-ნ გ. რ.-ისთვის ჯერ კიდევ უცნობი ყოფილა. იგი ამბობს: მუშა თხოულობს ქირის მომატებას, ე. ი. თხოულობს მეტ ფულს თავის შრომაში, ხოლო ფული კაპიტალისტურ წესწყობილების საგანია, „კერძო საკუთრების ნიადაგზე“ აღმოცენებული საშუალებაა გაცვლა-გამოცვლისა, და ამიტომ, როცა მუშა ამ „ბურჟუაზიულ“ საღსარს თხოულობს, თვითონაც „კერძო საკუთრების“ ნიადაგზე დგებაო დ ამგვარად ეს ნიადაგი მისთვის და კაპიტალისტისათვის საერთო ნიადაგი ხდებაო.

ბ-ნ გ. რ.-ს რაღაც ახირებულად აქვს „კერძო საკუთრება“ წარმოდგენილი. მუშა-ხალხს მიზნად აქვს დასახული საწარმოო კომუნიზმი და არა კომუნიზმი მოხმარებითი. იგი ემსახურება გასაზოგადოებრივობას საწარმოო იარაღთა და არა ნაწარმოებთა. არც მუშას და არც სხვას ვისმე თავში არ მოსდის ასეთი სულელური აზრი, რომ თავისი ფეხსაცმელი ან ტანსაცმელი თავის საკუთრებად არ ჩასთვალოს როდისმე და ამ სახით „უარჰყოს კერძო საკუთრება“. ის პარტიები, რომელთაც მშრომელი ხალხი შეადგენს, ცდილობენ მესაკუთრეებად გახადონ საზოგადოებაში ყველანი და არა მარტო ერთი რომელიმე კლასი. ცხადია, ყოველგვარ საკუთრებას არ უარჰყოფს მუშათა კლასი. უარჰყოფს მხოლოდ საწარმოო იარაღთა კერძო საკუთრებას და ეს კი ცოტათი სხვა გახლავთ, თუ ბ-ნი გ. რ.-ც დაგვეთანხმება...

ჩვენს ავტორს წარმოუდგენია, რომ, რახან მუშა-ხალხი წარმოების გასაზოგადოებრივობის მომხრეა, ახლანდელს წესწყობილებაში ქირისთვის არ უნდა იბრძოდეს, ვინაიდან ერთის მხრივ „უარყოფა“ და მეორე მხრივ ამ „უარყოფილის“ ნიადაგზე რისამე მოთხოვნა „ფილოსოფიურ“ ულოღიკობას ნიშნავსო. მას, რასაკვირველია, არ ესმის, რომ თითოეული ნაბიჯი, მუშა-ხალხისგან წინ გადადგმული სოციალ-პოლიტიკურს ცხოვრებაში, აადვილებს საიდეალო მიზნის განხორციელებას.

ერთის სიტყვით, მსჯელობა ბ-ნ გ. რ.-ისა ფრიად და ფრიად უცნაურია. ის ლოღიკა, რომელზედაც ეს მსჯელობაა აღმოცენებული, გვეუნება, რომ ზემოაღნიშნულ „მოძღვრების“ მომხრე მუშამ, მაგალითად, ფული ხელში არ უნდა დაიჭიროს და საჭირო სანოვაგე არ უნდა იყიდოს, ვინაიდან ფული და ყიდვა-გაყიდვა იმ წეს-წყობილებაში, რომელიც მას სურს და იდეალად მიაჩნია, აღარ იქნებაო. თუ თქვენ, მაგალითად, სადმე წასვლა გინდათ, რკინის გზის ბილეთი არ უნდა აიღოთ და ვაგონში არ უნდა ჩაჯდეთ, რადგან თქვენგან გადახდილი ფული ხაზინაში შედის, რომელსაც ბიუროკრატია განაგებს, და ამგვარად, როცა თქვენ ამგვარ საქმეს სჩადიხართ, ბიუროკრატიას მხარს უჭერთ და ბიუროკრატიულ რეჟიმის საფუძველზე დგებით. ამ შემთხვევაში თქვენსა და ბიუროკრატიას შორის „საერთო ნიადაგი“ ჩნდება, რომელიც თქვენ მასთან გაერთებთ და სოლიდარად გხდით... ამას გვასწავლის ბრძნულად ბ-ნი გ. რ...

ჩვენი მოკამათე ამასაც არა სჯერდება და დაჟინებით იმეორებს, მუშა-ხალხის მოძრაობის მიზანს სამუშაო ქირის მომატება შეადგენსო. თუ ამას მიზანს ვუწოდებთ, ასეთი მიზნები მრავალთა-მრავალი შეგვხვდება ბრძოლის პრაქტიკაში. როცა მუშები გაიფიცებიან და ქირის მომატებას თხოულობენ, რასაკვირველია, გაფიცვის მიზანს ქირა შეადგენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქირაა მიზანი საზოგადოდ მუშათა კლასობრივ ბრძოლა-მოძრაობისა. ამ ბრძოლის მიზანს შეადგენს საზოგადოდ კლასების მოსპობა და ეკონომიურ თანასწორობის დამყარება. ამით განსხვავდება ყველგან მუშათა სოციალ-ეკონომიური პროგრამა წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების პროგრამისაგან, რომელშიაც საწარმოო იარაღთა კერძო საკუთრების უარყოფაზე კრინტი არაა ხოლმე დაძრული. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიები სცნობენ საჭიროდ და ემხრობიან კიდეც ძალიან ფართო რეფორმებს, მხოლოდ უარყოფენ სოციალიზმს. აი, ისინი სდგანან „კერძო საკუთრების“ ნიადაგზე და არა სოციალიზმის მომხრე ელემენტები.

კიდევ ვიმეორებთ,—ეს ისეთი განმარტებაა, რომელიც, გვგონია, დღეს თავის თავადაც ყველამ იცის. მაგრამ რას იზამთ, როცა ასეთ ყველასაგან ცნობილ ამბებსაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტამდის...

ძნელად ასახსნელი ამოცანა

თითქმის ნახევარი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც 12 დეკემბრის ბრძანება გამოიცა, რომელიც, სხვათა შორის, წესიერების დამრღვეველთა რიცხვის გამრავლებისა გამო, ადმინისტრაციის უფლებათა გაძლიერების კანონმდებლობის გადასინჯვასაც თხოულობდა (პუნქტი 5). ჯერ ისევ თებერვალში შესდგა განსაკუთრებული კომისია „გაძლიერებულ დაცვის დებულებათა“ გადასასინჯავად და მხოლოდ ამ დღეებში, 5 მაისს, დაიწყო აღთქმული „გადასინჯვა“. ბიუროკრატიული კომისია მთელ ორთვე-ნახევარს მოუნდა გაძლიერებულ დაცვის „ისტორიულ მიმოხილვის“ შედგენას და როცა ეს „მიმოხილვა“ დაამზადეს, როცა კომისია თვით „გადასინჯვას“ უნდა შესდგომოდა, კომისიის თავმჯდომარემ დიდის სიფთხილით ამცნო კომისიის წევრებს: „გადასინჯვა გაძლიერებულ დაცვის დებულებისა რთული, ძნელად ასახსნელი ამოცანააო, ეს გადასინჯვა დიდ გულმოდგინეობასა და სიფთხილეს თხოულობსო“.

„ძნელად ასახსნელი ამოცანააო!“—განა შეიძლება ამისი თქმა მაშინ, როდესაც ამ დებულების „გადასინჯვისთანა“ ადვილი არა არის-რა? განა ღირდა განსაკუთრებულ „მიმოხილვის“ შესადგენად დროს დაკარგვაც კი, როდესაც თვით ცხოვრება მედგრად თხოულობს ამ „დებულების“ უარყოფას, მოსპობას, როდესაც თვით ქვეყანა ხმა მაღლა ღაღადებს ადმინისტრაციის განსაკუთრებულ უფლებათა შეზღუდვას, იმ უფლებათა შეზღუდვას, რომელიც ხალხს დღეობით კი არა ხდის სულს, არამედ წლობითა და ათწლობით! ან იქნება საკმაოდ ხმა-მაღლა ვერა სჩივის დამონებული რუსეთი თავის საჭიროებათა შესახებ—იქნება არ ესმით, რომ იგი თავისს ბატონებს სთხოვს: პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობას, სიტყვისა, ბეჭდვისა დ კრების თავისუფლებას,—სთხოვს იმ ბედ-უკუღმართ „დებულების“ უარ-ყოფას, რომელმაც ასე უსაზღვროდ განადიდა მადა ადმინისტრაციისა და რომელმაც მთელი ქვეყანა ამ გადიდებულ მადას დაუმორჩილა ყურ-მოჭრილად, უსიტყვოდ?! ან იქნება ის ღაღადისი—თეთრის ზღვიდან დაწყებული შავ ზღვამდე და ბალტიის ზღვიდან ურალამდე და ურალის იქით წყნარ ოკეანემდე—მარტო უსაფუძვლო ოცნება ჰგონია კომისიის თავმჯდომარეს, იმ დროს (მისი სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ) „როდესაც საზოგადოება ძალზე აზავთებულია, როდესაც ხალხის ამ მღელვარებით სარგებლობენ მისი უკიდურესი ელემენტები და კადნიერდებიან, სიტყვით თუ საქმით, შეურაცხჰყონ, ბოროტად მოეპყრნენ თანამდებობის კაცთ, იმ დროს, როდესაც, თითქმის ახლა უფრო საჭიროა ძალ-დატანებითი ზომები სახელმწიფოს შერყეულის წესწყობილების აღსადგენად“.

„დეე, ცხოვრება ჯერ კალაპოტში ჩადგეს, დაწყნარდეს უკიდურესი და გამწვავებული ურთი-ერთობა და მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიფიქროთ ადმინისტრაციის უფლებათა გამაძლიერებელ დებულების სავსებით უარყოფაზე, ახლაკი—იმ დროს, როდესაც უკიდურესი ელემენტნი ბოროტად ხმარობენ ხალხის მღელვარებას—მარტო ის დაგვრჩენია, რომ შევზღუდოთ „დებულების“ გასავრცელებელი რაიონი და ამ „დებულების“ ძალით დავსაჯოთ მარტო ისინი, რომლებიც სახელმწიფოს წეს-წყობილებას ნამდვილად ეწინააღმდეგებიანო“.

ასე აზროვნებს რუსეთის მთავრობა.

ნუ თუ მართლა იმედი აქვთ, რომ სასტიკ ძალ-დატანებით თუ არა, უბრალო ძალადობით მაინც შეუძლიანთ „წესიერება“ აღადგინონ? ნუ თუ არ იციან, რომ არც ერთს და არც მეორე ზომას აღარ ძალუძს „ცხოვრების წესიერ მსვლელობის უზრუნველყოფა და განმტკიცება? ნუ თუ არ იციან, რომ ახლა რეპრესიული საშუალებანი კი არ უშველიან ქვეყანას, არამედ ქვეყანას იხსნის უარისყოფა „ძველის წესწყობილებისა“ მთელის თავისის პოლიციურის შეჩვენება-შევიწროების თოფხანით.

ნუ თუ კიდევ უნდა დავამტკიცოთ, რომ ყველა მათ მიერ მიღებული ზომები უფრო ამწვავებენ საქმეს და სასიკვდილოდ ამეტებინებენ იმათ, ვინც ამ ზომებსა ხმარობს. განა ეს კიდევ დასამტკიცებელია-მეთქი მას შემდეგ, რა შედეგიც მოჰყვა ბობრიკოვის უფროსობას ფინლიანდიაში, თავ. გოლიცინისას—კავკასიაში, პლევესას—მთელს რუსეთში?

ნუ თუ ეს დასამტკიცებელია, მას შემდეგ, რაც მოხდა ირლანდიაში ინგლისის ამგვარივე პოლიტიკის მეოხებით. ინგლისიც ასე ჰფიქრობდა, ჯერ განსაკუთრებულის ზომებით დაიმშვიდებ ირლანდიის ხალხს, სულს ამოვხდი „სხვადასხვა შემავიწროებელ დებულებებით“ და მერე რეფორმებს მივცემო. განა ინგლისის ამ ცდამ ისეთივე ნაყოფი არ გამოიღო, როგორსაც ახლა ჩვენ კავკასიისა, პოლონეთისა, ბალტიის მხარესა და, ცოტა თუ ბევრის განსხვავებით, მთელ რუსეთში ვხედავთ?

თანამდებობის კაცთა ხოცვა-ჟლეტა, ბოიკოტები მთავრობის დაწესებულებათა წინააღმდეგ, გარდასახადების გაღებაზე უარისყოფა, „სხვის“ მამულის დაჩემება, „სხვის“ ტყის გაკაფვა, სხვის პურის წართმევა, განა ყველა ეს თვალსაჩინოდ არა ყოფს მთავრობის-მიერ შევიწროების შედეგებს?!.

ნუ თუ ამჟამად მარტო ხალხის „დამშვიდებაზე“ უნდა ვიფიქროთ, იმგვარ „დამშვიდებაზე“, რომელმაც მთელი ქვეყანა, მთელი მისი ას-ოცდა-ათი მილიონი მცხოვრები სასაფლაოსა და მიცვალებულებს დაამსგავსა? „დამშვიდება“! რასაკვირველია, კარგია ასეთი „დამშვიდება“ იმათთვის, ვისაც ცხოვრების ჩარხის ტრიალისა ეშინიან, ვისაც თავზარსა სცემს თავისუფალი ღაღადისი ქვეყნისა, მწერლობისა, კრებებისა. „დამშვიდება“ სანატრელია იმასთვის, ვინც კაბინეტებში ჩამღრჩვალა, მზეს, ჰაერს ერიდება და ვისაც კანცელარულ მოქმედების ცხოველ-მყოფელობა კიდევა სწამს. ასეთი „დამშვიდება“ სანატრელია იმათთვის, ვისაც კიდევ ასულდგმულებს „წარსულნი დრონი, დრონი ნეტარნი“, ვინც დაჩვეულია ლაყბობით სხვის თვალის ახვევას, ვინც მრავალ-მეტყველებითა და აუსრულებელ დაპირებით და თავის ნასუფრალის გაზიარებით, ჰფიქრობს დააჩუმოს, დაამშვიდოს სისხლიდან დაცლილი ქვეყანა და, როცა იგი დამშვიდდება, ძველებურად თავზე წამოაჯდეს, დაივიწყოს თავის აღთქმაცა და დაპირებაც, ვინაიდან „ხალხი დამშვიდდა და რეფორმებს ახლა რაღა თავში იხლისო“!

რასაკვირველია, კარგია, რომ მშრომელი ხალხი ისევ სამუშაოს დაუბრუნდეს, სასიამოვნოა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც ახლა მოსწყდა სასწავლებელს და უკიდურესს ელემენტებს მიემატა—ისევ სკოლაში მივიდეს, სასურველია რომ მმართველთა და ამ მმართველობის ქვეშ დაყენებულთა ურთიერთობა ისე მოეწყოს, რომ სახელმწიფო მოხელეებს მოსაკლავად არ დასდევდნენ, მაგრამ რა შუაშია აქ **განსაკუთრებულნი უფლებანი ადმინისტრაციისა**, ყველა ეს სავალდებულო დადგენილებანი, რომლებიც მცხოვრებს ხელ-ფეხს უბოჭავს და მუდამ ელდის ქვეშა ჰყავს, ვისთვის რა ხელსაყრელია ყველა ეს სულის შემხუთავი პოლიციური ატმოსფერა თავისის ჯაშუშებითა და ჟანდარმების ყოვლად შემძლებლობით, ვის დააშინებს ყველა ეს სისტემა „პოლიტიკურ საქმეთა“ სამხედრო სასამართლოში გადაცემის შესახებ, ყველა ეს შემთხვევანი ჯარის გამოწვევისა, მათს ქარხნებსა და სახლებში ჩაყენებისა, ყველა ეს ქვეითა და ცხენოსანთა დარაჯები?!..:

განა ვერა ჰხედავენ, რომ ამითი არა გამოდის-რა? ცის ამარა დღეს უფრო და უფრო აძლიერებენ ამ საშუალების ხმარებას, მაგრამ ქვეყნის მდგომარეობა არამც თუ უმჯობესდება, უარესდება კიდეც; სწორედ ამ შემავიწროებელ ზომებისა გამო უკმაყოფილოთა რიცხვი დღე და დღე უფრო მრავლდება! დეე, ამ დარაჯებმა—გოროდოვოების უფროსობით (როგორც სამოქალაქო

უუროსების წარმომადგენლებისა თუ!) მხარზე თოფგადადებულთ ქუჩა-ქუჩა იარონ, დეე, ცხენოსანმა კაზაკებმა და დრაგუნებმა, მათრახებით ხელში, ცხენები აჭენონ და წინაალუდგნენ „წესიერების“ დამრღვეველ მანიფესტანტებს,—ეს მხოლოდ დაფარულსა და განუსაზღვრელ ზიზღს გამოიწვევს თითოეულ მცხოვრების გულში. იგი თავის თვალითა რწმუნდება, როგორ უნდოთ და ურწმუნოდ უყურებს მას თავისივე მთავრობა—იგი კარგად ხედავს, რომ მცირეოდენ უწესოებისათვის მას გაამათრახებენ, გაჯოხავენ, დაამწყვდევენ, მაგრამ ამავე დროს მთავრობის ასეთი ზომები მხოლოდ და მხოლოდ მის გულის წყრომას კი იწვევს!

თუ ხალხი უწესოებას არ ახდენს, თუ იგი მარტო მღერის და ან წითელ დროშას აფრიალებს, ნუ თუ ამით სახელმწიფო წეს-წყობილებას ძირს უთხრის და ამიტომ საჭიროა ჯარების გამოწვევა და მკვიდრთა ამოჟლეტა?

ვერაფერი საძირკველი და საფუძველი ჰქონია, სწორე მოგახსენოთ, ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც სიმღერებისა და წითელი დროშებისა ეშინიან!..

ან კი ვის აშინებენ ჯარის სახლებში და სოფლად ჩაყენებით! ეს ჯარი მთელი საუკუნე ხომ არ იდგება, ერთხელაც იქნება წავა და მაშინ, უყურეთ, როგორ გაორკეცდება ფიზიკური ძალა და ზიზღი დაჩაგრულთა!..

„ხალხთა ზღვის ამ კიდით კიდემდე მღელვარე ტალღებში გამოითქმის წესისა და კანონიერების უარისყოფა კი არა, არამედ ის შემოქმედებითი ძალები, რომელიც ხალხის გულშია დამარხულიო“, უთხრა ქ. ტფილისის მოურავმა ნამესტნიკს ვარანცოვ-დაშკოვს და ამ სიტყვებით გამოხატა სრული ჭეშმარიტება, ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც სრული წინააღმდეგია იმისა, რასაც ქადაგობს გაძლიერებულ დაცვის შესახებ „დებულების“ გადამსინჯველის კომისიის თავმჯდომარე.

მიეცით კანონიერი გზა ხალხთა გულის თქმას, გულწრფელად უარჰყავით ძველი, დახავსებული წესები ხალხთა მართვისა, განახორციელეთ მოწოდება მთელის ქვეყნისა, გამოუცხადეთ მისგან არჩეულთ სრული ნდობა და მიეცით ნება თავისუფლად გაშალოს თავისი შემოქმედებითი ძალები მომავალ სახელმწიფო წესწყობილების საკეთილდღეოდ და მხოლოდ მაშინ დამშვიდდება „კიდითი კიდემდე ამღელვარებული ტალღა ხალხთა ზღვისა“!..

ძალდატანებითი ზომები კი ველარას გააწყობენ მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი განახლების გზაზე შემდგარა, როდესაც მის შვილთ მოთმინების ფიალა აევსოთ, როდესაც მათ უმწეო ყოფა-ცხოვრებამ უკიდურესობას მიაღწია, როდესაც ყველას თუ შეგნებული არ აქვს ეს შემეცნება, გრძნობს მაინც რომ „ასე ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია“!

ის, ვინც ოცნებობს „ქვეყნად სიმშვიდის დამყარებაზე“, რასაკვირველია, გაძლიერებულ დაცვის შესახებ „დებულებისა“ გამო თავისის „საკუთარის აზრისა იქმნება“ და „ძნელად ასახსნელ ამოცანას დაინახავს იქ, სადაც **საჭიროა მხოლოდ გადაწყვეტითი უარისყოფა „ძველის წესწყობილებისა“**, მაგრამ, თუ **სწორედ ეს** არა სურთ, სხვაფრივ ფონს ვერ გავლენ და მათი ზრუნვა—ხალხის „დასამშვიდებლად“ გაძლიერებულ დაცვის შესახებ „დებულების“ ასპარეზის შემოფარგვლა—მათ სურვილს ვერ დააკმაყოფილებს, ვინაიდან თვით ცხოვრება აფართოვებს ამ ასპარეზს და დღითი დღე ჩნდება ისეთი სოფელ-დაბა-ქალაქები, რომლებიც გაძლიერებულ დაცვას თხოულობს. (ნ. ჟ.).

გრაფი პავლე ტოლსტოი

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

28 მაისი.

ქრისტიანია, 28 მაისი. სხვადასხვა მხრიდან იწერებიან, უნიის ალამის ნორვეგიის დროშით შეცვლამ დიდი აღტაცება და სიხარული გამოიწვიაო. ყოფილმა სამხედრო მინისტრმა უსურვა დროშას დღეგრძელობა იმ ხალხის სანუგეშოდ, რომლის შვილნიც სიცოცხლესაც არ დაიშურებენ თავის სამშობლოსათვის.

პეტერბურგი, 28 მაისი. გრაფი ლამსდორფი დღეს ცარსკოე სელოში წავიდა.

ვილნო, 28 მაისი. ახალის საბჭოს არჩევნების პირველ დღეს ძველი საბჭო ძალზე დამარცხდა. ძველის საბჭოს ხმოსნები ზოგი გაშავეს და ზოგმა თითონვე სთქვა უარი. არჩეულთა მიხედვით, ახალი საბჭო პროგრესიულია; ინტელიგენტებთან ერთად, არჩეულ იქმნენ დემოკრატიულ მიმართულების ხელოსნები. ქალაქის მოურავმა გენერალმა პერტცოვილმა და ბურჟუაზიულ-კონსერვატორთა დასის წარმომადგენელმა მონტვილმა ფიცის დადებაზე უარი განაცხადეს. ბიუროკრატთა კანდიდატები ყველა გაშავეს.

ხარკოვი, 28 მაისი. ბრძოლის ველზე მომხდარ უბედურებისა გამო საბჭო საჩქაროდ შეიკრიბა და დაადგინა, დაუყოვნებლივ საერო წარმომადგენლობა უნდა იქმნეს მოწვეულიო.

ნოვოროსიისკი, 28 მაისი. საბჭომ დეპეშით ითხოვა, დაუყოვნებლივ მოიწვიეთ საერო წარმომადგენლებიო.

თეირანი, 28 მაისი. სპარსეთში 12 კორპუსი შეადგინეს, ქვეითა ჯარი—217,000, ცხენოსანთა—20,000, არტილერია—7,000. დაარსდა სამხედრო სკოლა. ოფიცერთათვის სამხედრო სასწავლებლის დამთავრება სავალდებულოა.—კერმანში მცხოვრებთა უკმაყოფილება მატულობს. მოსალოდნელია არეულობა.

დონის-როსტოვი, 28 მაისი. გუშინ, საბჭოს სხდომაზე, ახალგაზრდობამ დემონსტრაცია მოახდინა, რამაც სხდომის დახურვა გამოიწვია. დემონსტრაცია გაიმეორეს ბაღშიაც, მაგრამ ჩქარა დაჰფანტეს.

კიევი, 28 მაისი. შუადღისას, ჟანდარმთა განყოფილების უფროსს, პოდპოლკოვნიკს სპირიდოვიჩს, ვიღაც უცნობმა ექვსჯერ რევოლვერი ესროლა. სპირიდოვიჩს ორი ტყვია მოხვდა—გვერდსა და ფეხში.

პეტერბურგი, 28 მაისი. დღეს სოფლელ გლეხკაცთა საადგილ-მამულო საკუთრების გასამაგრებელ საშუალებათა გამოსაკვლევად შემდგარ კომისიას მეოთხე სხდომა ჰქონდა. ამ სხდომაზე იკვლევდნენ იმ საფუძვლებს, რომელზედაც უნდა იყოს აგებული მთავრობის მომავალი პროგრამა. კომისიამ გამოსთქვა აზრი, რომ რუსეთის სხვადასხვა ნაწილში ადგილობრივ პირობების დაგვარად მთავრობის ზომები სხვადასხვა ნაირი უნდა იყოსო. ამიტომ ჩრდილოეთ და შუა რუსეთში, სადაც საადგილ-მამულო საკითხი ისე არ აწუხებს ხალხს, როგორც სამხრეთ გუბერნიებში, მთავრობამ უნდა გააადვილოს ნადელების განაწილება და მეურნეობის გაუმჯობესება. სამხრეთ რუსეთში მთავრობამ უნდა შეუწყოს ხელი გლეხობას ადგილების ყიდვაში. ამასთან ერთად კომისიას მოლაპარაკება ჰქონდა ადგილების გამოსყიდვის შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ საამისო შეღავათები სახაზინოსთვის საზარალოა, და ამასთან თვით ხალხსაც დიდ შეღავათს არ აძლევს, ვინაიდან ხალხის ქონებრივი დაქვეითება პირდაპირ გადასახლებით გამოწვეული არ არის. ამის მიზეზია უმიწაწყლობა, კერძო მამულებზე არსებული მაღალი იჯარა და სხვა რამე შემოსავლის უქონლობა. ისევე სჯობია, ამ გადასახლების ერთი ნაწილი ცალკე ფონდად გადაიდოს გლეხების დასახმარებლად. ეს აზრი ყველას მოეწონა, მაგრამ რაკი იგი ახალია და მის გასარკვევად მომზადებულნი არ იყვნენ დამსწრე წევრები, ამიტომ ამ დღეს ამის შესახებ ვერ გადაწყვიტეს ვერაფერი. შემდეგი კრება 1 ივნისისათვის დაინიშნა.

29 მაისი

კიევი, 29 მაისი. გოლოსეევსკის ტყეში, კიევის მახლობლად, სოფელ დემიევკაში, ებრაელთა კრება აღმოაჩინეს. მომეტებული ნაწილი ხელოსნები იყვნენ. პოლიციამ ბევრი პროკლამაციები უპოვნა რუსულსა და ებრაულს ენაზე „ბუნდის“ გამოცემული.

ორენბურგი, 29 მაისი. საბჭოს საგანგებო სხდომამ ერთხმად დაადგინა,—უმაღლეს მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინოს ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევაზე.

ნიკოლაევი, 29 მაისი. ჩერნომორიის სამექანიკო და ქვაბების დამმზადებელი ქარხანა დროებით დაიკეტა მუშათა არეულობის გამო.

მოსკოვი, 29 მაისი. სოკოლნიკში მუშათა მრავალ-რიცხოვანი კრება მოხდა. კრება კალუგის ზასტავის გადმაც იყო.

ენისეისკი, 28 მაისი. ყოველ დღე შენობებს ცეცხლს უკიდებენ. 24 მაისს ღამე და 26-ს ბევრს სახლებს გაუჩნდა ცეცხლი. 26 მაისს, დღისით, ქალაქის საუკეთესო ნაწილში გადაიწვა 7 სახლი. დამნაშავენი ვერ უპოვნიათ.

პეკინი, 28 მაისი. აქ ჰფიქრობენ დააარსონ იაპონური უნივერსიტეტი. ამ მიზნით მოვიდა ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორი. ყველა იმ აზრისა არის, რომ პეკინში უთუოდ უნდა გაიხსნას იაპონური უნივერსიტეტი, რადგან უმაღლეს სწავლის მისაღებად ყველა ჩინელს იაპონიაში ვერ შეუძლიან წასვლაო.

სიმფეროპოლი, 29 მაისი. გუშინ ვაჭრებმა და ნოქრებმა დაადგინეს, კვირა-უქმე დღეებში არ ივაჭრონ და სამუშაო დღე დაწესდეს 12 საათი, ამ რიცხვში ორი საათი სადილისთვის და საუზმისთვის. ბევრი ვაჭარი ამ გარდაწყვეტილებით უკმაყოფილოა და ჰფიქრობს, ან ნოქართა რიცხვი შეამციროს, ან იმათ მაგიერ ქალები დაიქირაოს.

პეტერბურგი, 29 მაისი. დღეს, შუადღის 12 საათზე, პუტილოვის ქარხანაში წყალში ჩაუშვეს კრეისერი „დობროვოლეცი“.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

28 მაისი.

ვაშინგტონი, 28 მაისი. რუსეთმა და იაპონიამ მიიღეს რუზველტის ნოტის წინადადება. ახლა ყველა უზრუნველყოფილადა სთვლის იმ გარემოებას, რომ მებრძოლ ქვეყნების რწმუნებულები ერთმანეთს ინახულებენ. იაპონიის რწმუნებული გადასცემს რუსეთისას იმ პირობებს, რა პირობებითაც იაპონიას სურს ზავის ჩამოგდება.

ლონდონი, 28 მაისი. „რეიტერის“ სააგენტოს კორესპონდენტმა სარწმუნო წყაროდან გაიგო, რომ რწმუნებულთა შეხვედრა მოხდება ვაშინგტონში. რუსეთის წარმომადგენლად ვაშინგტონში მყოფ რუსის ელჩს ბარონ როზენს ასახელებენ. ვაშინგტონი უფრო მოხერხებული ალაგია, ვიდრე პარიზი, უფრო ნეიტრალურიც არის და არც ისე ექვემდებარება სხვათა გავლენას. ვიდრე რუსეთმა და იაპონიამ არ განაცხადეს, რომ რუზველტის ნოტის წინადადება მისაღებიაო, ნოტა არ გამოუქვეყნებიათ. აქედანა სჩანს, რომ ზავზე მოლაპარაკების დაწყება პრინციპიალურად გადაწყვეტილია. იაპონიის პირობანი შემდეგია: პროტექტორატი კორეაზე, რუსებისაგან მანჯურიის სრული განთავისუფლება, პორტ-არტურისა და ლიაოდუნის დათმობა, დათმობა რკინის გზისა ხარბინამდე ამ გზაზე დახარჯული ფული რუსებს დაუბრუნდებათ. როჟესტვენსკის დამარცხებამდე სახალინის შესახებ საკითხს არ აღძრავდნენ, ახლა კი აღძრავენ. კონტრიბუციის შესახებ საკითხს იაპონია კიდევ განიხილავს. ბევრი რამ არის დამოკიდებული დანარჩენ პირობებზე. თუ ზავი მტკიცე არ იქნება, იაპონია ბევრს რასმე მოითხოვს, თუ მტკიცე იქნება, მაშინ კი იაპონია უფრო ზომიერ მოთხოვნილებებს წარადგენს. ამბობენ, და ბუნებრივიც არის, რომ იაპონიას ჯერ დაწვრილებითი პირობები არ წარმოუდგენია, რადგანაც არ უნდა თავი შეიბოროკოსო... რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთა შორის თავისუფალი მოლაპარაკება უკეთეს საშუალებად ითვლება ურთი-ერთ მორიგების საქმეში.

ტოკიო, 28 მაისი. იაპონია თანახმაა დანიშნოს თავისი რწმუნებული რუსეთის რწმუნებულებთან შესახვედრად.

ტოკიო, 26 მაისი. ჩრდილოეთ კორეიდან იუწყებიან: კენხინ-ოკსენგს შორის დაბანაკებულია რუსების ერთი დივიზია არტილერიითა და კავალერიით. მოწინავე რაზმები იუპპიონში იმყოფებიან, პიკეტები—კენგ-შენგს შორის. გირინისა და ჩანჩუნეს შორის რუსების რიცხვი უდრის 300 ათას კაცს. ჩინეთის მოთხოვნისა გამო რუსეთის მთავრობამ შეატყობინა, რომ ჩვენს ჯარს აღკრძალული აქვს მონგოლიის საზღვრებზე გადასვლა აღმოსავლეთით ურგიდან და დასავლეთით პედნიდანაო.

პეტერბურგი. გენ. ლინევიჩის დეპეშა: ბრძოლის ველზე ცვლილება არ მომხდარა. ჩვენმა რაზმებმა მარცხენა ფრთეზე ცოტათი წინ წაიწიეს და დაგუძიაძ-შიმოიძ-ტოუანგოუს გასწვრივ დადგნენ. შეტაკების დროს მოკლულ იქმნა რაზმის უფროსი, მამაცი და ნამდვილი მეომარი პოდპოლკოვნიკი შულტიჩენკო.

ვაშინგტონი, 28 მაისი. სახელმწიფო დეპარტამენტი ოფიციალურად იუწყება იმ დეპეშის შინაარსს, რომელიც რუზველტმა 26 მაისს რუსეთსა და იაპონიას გაუგზავნა. პრეზიდენტი გრძნობს, რომ დადგა ის დრო, როცა მან უნდა სცადოს, შესაძლებელია თუ არა შორეულ აღმოსავლეთში ხოცვა-ჟლეტა მოისპოს. რუსეთიცა და იაპონიაც ამერიკის მეგობრებია და პრეზიდენტსაც ორივესთვის პროგრესი სურს. პრეზიდენტი თხოულობს, რომ მოლაპარაკება რუსეთმა და იაპონიამ თვითონვე დაიწყონ, ხოლო პრეზიდენტი მათ წარმომადგენელთა შეხვედრას ხელს შეუწყობს.

ტოკიო, 28 მაისი. პრეზიდენტის რუზველტის წინადადება შესახებ რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენელთა შეხვედრისა ზავზე მოსალაპარაკებლად, იაპონიის მთავრობამ სიამოვნებით მიიღო. კომურა მზადაა დანიშნოს წარმომადგენელი, თუ, რასაკვირველია, რუსეთს ზავი უნდა.

29 მაისი.

გუნჟულინი, 28 მაისი. (საკუთარ კორესპ.). ამბობენ, რომ დილიდან იაპონელები დიდის ჯარებით ჩვენს მარცხენა ფრთესკენ მიიწევენ. შეიძლება, ეს ისეთივე დემონსტრაცია იყოს, რომელიც იაპონელებმა მუკდენთან ბრძოლის დაწყებამდე ჩვენს მარცხენა ფრთეზე მოახდინეს, მაგრამ მერე მარჯვენას დაეცნენ.

პარიზი, 28 მაისი. „ტან“-ის აზრით, დადგა ის მომენტი, როდესაც იაპონიამ და რუსეთმა თავმოყვარეობა გვერდზე უნდა გადასდონ და ზავი ჩამოაგდონო. „დება“ ამბობს, რუსეთმა რუზველტის წინადადება უსათუოდ უნდა მიიღოსო. თუ იაპონელები გადამეტებულს მოითხოვენ, მაშინ რუსეთის მთავრობას ეცოდინება მაინც, ომს რისთვის განაგრძობს და რუსეთის ერსაც ადვილად დაარწმუნებს, ომის განგრძობა საჭიროაო.

ტოკიო, 28 მაისი. ოფიციალურად მართლდება ის ხმა, რომ რუზველტმა ზავის შესახებ იაპონიას წინადადება გაუგზავნა და კომურამაც პასუხი მისცა. კომურამ შეუთვალა, თქვენს წინადადებას ყოველ მხრივ განვიხილავთ და მზადა ვართ, პირადად რუსეთთან მოსალაპარაკებლად წარმომადგენლები დავნიშნოთო.

ლონდონი, 29 მაისი. მეფე ედუარდმა დეპეშა გაუგზავნა რუზველტს და სასიამოვნოდ მიიჩნია იმედი მომავალ ზავის დამყარებისა.

ვაშინგტონი, 29 მაისი. რამდენისამე დღის შემდეგ მოელიან რუსეთისა და იაპონიის ზავის გამოცხადებას.

პარიზი, 29 მაისი. საფრანგეთის პრესსა სიამოვნებით ულოცავს რუზველტს, რომ მისი თაოსნობა რუსეთ-იაპონიის ზავის შესახებ კარგს ნაყოფს იძლევა.

ჰონკონგი, 30 მაისი. გემი „ლანგდატი“ იუწყება: 28 მაისს პედრა ბრანკის სისწვრივ (სინგაპურის სრუტეში) ჩრდილოეთის მხრივ 14 სამხედრო გემი ენახეო, მათში იყო—ჯავშნოსნები, კონტრ-ნაღმოსნები, კრეისერები და ტვირთ-მზიდავი გემებიო.

ტოკიო, 28 მაისი. ოფიციალურად იუწყებიან, 27 მაისს, დილის 4 საათზე, იაპონელებმა განდევნეს რუსები ლიანგშუიჩუანისა და ნანჩენსუს სიმაღლეებიდან და ეს ადგილები დაიჭირესო. 27 მაისს იაპონელებმა ეროლმიპუსი, შუფანტაისა, ტუნჩანძუსი და ხოილუნშანის მიდამოები დაიჭირეს. სხვა ცვლილება არა მომხდარა.

ბერლინი, 29 მაისი. გაზეთების მეთაური წერილები დღეს მხოლოდ ზავის შესახებ ლაპარაკობენ. „რუნდშაუ“ სწერს, ქვეყნიერობა მოისვენებს, როდესაც შორეულ-აღმოსავლეთში სისხლის ღვრას ბოლო მოეღებაო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავის პირობები. „ტაიმს“-ს ტოკიოდან ატყობინებენ: იაპონელები შემდეგის პირობებით აპირობენ რუსეთთან შერიგებას:

1) რუსეთი უარს ამბობს მანჯურიაზე;

2) ჩინეთმა მანჯურიაში რეფორმების მოსახდენად 30-ზე მეტი მოხელე უნდა დაიბაროს იაპონიიდან, ინგლისიდან და ამერიკიდან და სამის წლის შემდეგ მანჯურიაში ყველას ვაჭრობის თავისუფლება მისცეს;

3) იაპონიამ თავის ჯარები (ორი დივიზია) მანჯურიაში უნდა ჩააყენოს სამხედრო და საადმინისტრაციო რეფორმების შემოღების უზრუნველსაყოფად. ამ ჯარებს თანდათან გაიყვანს მანჯურიიდან 7 წლის განმავლობაში. ეს ჯარი ჩინეთმა უნდა შეინახოს;

4) რუსეთი სახალინს იაპონიას უთმობს;

ფელეტონი

ბ-ნი ალექსანდრე დო

(ერთი კაცის დღიურის მესამე ფურცელი)

„არ ვიცი იმისი ბრალია, რომ დღეს ავ გუნებაზე ვარ, თუ ეს ჩემი წინაგრძნობაა—მე მგონია, ისე მოვკვდები, რომ, პოეტის თქმისა არ იყოს, ერთხელაც ვერ შევსდგე ტრფობის მთაზედა... რა მინდა, რა, ამ მიყრუებულ მხარეში? ვის, ან რას ვემსახურები?-მეთქი, ხმა-მაღლა წამოვიძახე ერთ დღეს, როდესაც, ერთის საქმის გამოკეთების მოლოდინში, გულ-გაწყლულებული მორგვივით დავეშვი ზღვის პირად გაკეთებულ ხის სკამზე და მიდამოს წყრომით თვალი შემოვავლე.

ეს მოხდა ერთ სახელ-განთქმულ აგარაკში.

— რას ოცნებობ, ჩემო მეგობარო? შემომესმა ამ დროს მხიარული ხმა ერთის ჩემის ნაცნობისა, რომელიც შეუმჩნევლად თავზე წამომდგომოდა. ეს გახლდათ ბ-ნი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე დო, რუსეთში გაზდილი ავსტრიელი, ავეჯების მკეთებელ ერთის დიდის ქარხნის წარმომადგენელი. მე იგი აქ, აგარაკზე, გავიცან, არავითარი მეგობრული დამოკიდებულება მასთან არა მქონია, მაგრამ, რადგანაც მეც ერთის საკომერციო დაწესებულებისაგან ვიყავ ამ აგარაკში გაგზავნილი, ბ-ნი დო თავისს მეგობარსა და „კოლეგას“ მიძახდა.

აამშენოს ღმერთმა იმის ოჯახი, რომ იმ გლახა გუნებაზე გამომიჩნდა, მთელი საღამო გამართო და შუაღამემდის კი ამ ამბის წერას მოვუნდი... დრო აღარ დამირჩა გულ-ამრეზით მეფიქრა ჩემს ყოფნაზე...

მეტის მეტი მხიარული და უდარდელი კაცი იყო ბ-ნი დო. თავის დღეში არ დამავიწყდება მისი ოხუნჯობა, ენა-მახვილობა.

— მაინც რას ჰფიქრობ? კვლავ შემეკითხა ბ-ნი დო.

— რას უნდა ვფიქრობდე. მომწყინდა აქ ყოფნა... ჩემი სული და გული მიფრინავს შორს, ზღვის იქით, სადაც მყავს თვისი, ტომი, ამხანაგი და მეგობარი, სადაც ათასში ერთი მაინც გამოერევა ნამდვილი ადამიანი...

— მე მაგისთანებისა არ მესმის-რაო! ღიმილით მითხრა ბ-ნმა დომ—მაგრამ, რადგანაც ადამიანს ერთი ის გლახა ჩვეულება აქვს, რომ ყოველდღე თუ არა ორ დღეში ერთხელ მაინც უნდა ისადილოს, იძულებულნი ვართ ყველაფერი მოვითმინოთო...

„ღვთის წინაშე მეც კი მომბეზრდა აქ ყოფნაო—განაგრძო მცირეოდენის ფიქრის შემდეგ დომ—მთელი ქვეყანა შემომივლია და ისეთი უქონარა, ცრუ და ყბედი ხალხი არ მინახავს, როგორიც აქაური უფროსები არიან. ბატონო, გაგონილა საქმის ასე გაჭიანურება? ოთხი თვეა, აქა ვარ და ჯერაც ვერ მეღირსა მაგათგან ფულის მიღება. აქ რაღაც ბოლდიხანური წეს-წყობილება ყოფილა.

„მისი მაღალ-ყოვლად-კეთილ-აღმატებულება კრასნოკოჟოვი სწორედ პატარა ხელმწიფეა. ნეკრესის ქარებით დახუთულს და ნაჩუქარის მამულით გადიდგულებულს, ერთ ვერსზე ვერ მიეკარები. მისი მოურავი იაკინთე იაკინთოვიჩი—თუ სარფას არასა ხედავს, არც კი დაგელაპარაკება. მისი თანაშემწე ნასწავლი—მებაღე კლაპიტონ ფედოროვიჩი—ტყუილების გუდაა, ბაქია და კურდღლივით მხდალი. მისი ღირსეული მეუღლე ტერფსიხორა გალაქტიონოვნა მარტო ენა-პირად არის გადაქცეული—დასწოლია ოხერ ქონებას და ეშმაკურის თვალების ჭუტვით ქმარსაცა და მის მოურავსაც ყინულზე აცურებს—აბა, რა უნდა ჰქნას მათმა გადამკიდე ადამიანმა? ცის ამარა დღეს ვეხვეწები: მიიღეთ-მეთქი, თქვენგან გამოწერილი ავეჯი, ფული მომეცით, რომ მეც პირნათლად წარვსდგე ჩემის ფირმის წინაშე, მაგრამ შენც არ მომიკვდე!—მოიცადეთ, ჯერ კრებულმა მოიწონოს, მერე უფროსმა დაამტკიცოსო, მერე უმცროსმა ჩაიწეროს, გადასწეროს, გადმოსწეროს. ათასი ჯანდაბა და ღოზანა. კიდევაც ამ ქაღალდურმა თვალთმაქცობამ დაღუპა მთელი ქვეყანაო—გაჯავრებით დაამთავრა დომ და ზიზღით გადააფურთხა.

— მაშ რა ჰქნან, ბატონო! დავუსხი ცეცხლზე ნავთი მეც—მაგათ საქმე კი არ აინტერესებთ, აინტერესებთ თავიანთი ჯიბე, თავიანთი მოსვენება... ხოლო რომ მუქთა-ხორობაში გაატარონ დრო და თან საქმეები იშოვონ, ათას გვარ ხრიკებს იგონებენ, ათასგვარ შევიწროება—დამცირებას აყენებენ თავისზე დაბლებს.

„აბა გახედე ამ დიდებულ ბაღსა-მეთქი—მივუთითე დოს—ბაღს პატარძალივით მორთულ-მოკაზმულს ძვირფასის მცენარეებით, სუროებით, ყვავილებით, ამ მშვენიერ დაქიშულ ბილიკებს, დიდებულ აუზებს, კოპწია სახლებს, ეტლებს, მდიდრულად მორთულ ვაჟბატონ-ქალბატონებს და მერე შეხედე იმ დაცხავებულ, საქათმის მსგავსსა და ვირთაგვებით სავსე ქოხმახებს—მუშების ბინებს,—გახედე იმ ჩამოყვითლებულ და დახეულ-დაფლეთილ მებაღეებს, მთელი დღე ბატებივით დაჩოქილნი ბილიკების პირად ბალახს რომ სწიწკნიან და ყვავილებსა რგავენ, და მაშინ მითხარი. აქვს თუ არა სინიდისი, საქმის სიყვარული „ნასწავლ-მებაღეს“ კლაპიტონსა, რომელიც ქინაქინის ნერგს მარწყვის ნერგიდან ვერ არჩევს და რომელიც ჯალათივით კი დასდგომია თავზე იმათ, ვისიც ოფლითაა მორწყულია ეს მშვენიერი და კეკლუცი ბაღი. თითონ მთელი დღე უქმად გდია, თითონ სამას ოთხას თუმანს იღებს წელიწადში და მუშებისათვის კი ერთი საათის მოსვენებაც კი შურს, ხოლო მისი მორთულ-მოკაზმული ცოლი—ეტლით რომ ჩაუქროლებს ხოლმე წელში გამწყდარ მებაღეებს—უნდა ნახოთ რა მედიდურათ უბღვერის, რა ტუჩ-აპრუწვით შეჰყურებს მოწიწებით სალამის მიმცემ მუშებს.

— ნეტა არ მინდა, ხმა ამოიღონ, თავიანთი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობა მოითხოვონო, ჩვენ ეგენი გავაბედნიერეთ, უბრალო ყაზახი თვეში 15—20 მანათს იღებს—მეტი რა ნებავთო—მითხრა იმ დღეს პატივცემულმა ტერფსიხორა გალაქტიონოვნამ და შემომჩივლა—ერთი ბეწვა უკმაყოფილების გამოცხადებისათვის, მე თითონვე ვსთხოვ მის მაღალ კეთილ-აღმატებულებას აქედან გადაასახლოს, დასტანჯოს, გაროზგოს!—საზიზღარს, ასე ჰგონია ქვეყნის გადაბრუნება შეუძლია...

— Ну ее къ чорту!.. გამაწყვეტინა დომ—ერთხელაც იქმნება თავის თვალთმაქცობით თავს წაჰკრავენ, აბურგანს ამოჰკრავენ და მარტო მაშინ გაიგებენ, რა მწვავეც არის სხვის დამცირებაო.

ამ დროს, შორს ზღვის სივრცეში გემი გამოჩნდა. მე და დო ძალაუნებურად შევაჩერდით ამ გემს და გავჩუმდით.

— ჰა, ჰა, ჰა! მოულოდნელად, ცხენივით დაიხიხინა ბ-ნმა დომ.

მე შევკრთი. რა გაცინებს-მეთქი? შევეკითხე.

— გამახსენდა როგორის ხრიკებით ჩავიგდე ხელში ერთი თვალსაჩინო ფოდრათი... ამათაც ის დღე უნდა დავმართოო—ამიხსნა ბ-ნმა დომ, მერე კიდევ გადიხარხარა, სული მოითქვა და დაიწყო.

„ჩვენ, კამისიონერებსა და ფირმის წარმომადგენლებს, სწორედ მგლის ყნოსვა გვაქვს და სვავის ბუნება. სადაც კი გამოჩნდება ხოლმე რამე საფოდრათო, როგორც ორბები მოვფრინდებით და კვდარ ლეშზე ერთმანეთს თავ-პირს ვაკაწრავთ... სასტიკ მეტოქეობას ვუწევთ.

ღვთის წინაშე არც კი ფოდრათის გამცემლები არიან ჩვენზე ნაკლები ბიჭები. იმათ კარგათ იციან, რომ, რაც უფრო მეტი მეტოქეა, მით უფრო ბევრის გამორჩენა შეიძლება და, უფროსიდან დაწყებული უმცროსამდე, სულ თვალებს აბრიალებენ...

„შენ შედარებით, ჯერ სულ ყმაწვილი კაცი ხარ და არც გეცოდინება საჭირო ხრიკები. ან კი რა შენი საქმეა.—ხოლო მე კი ძაღლის ძვლები მაქვს გამოხრილი ამ საქმეში. მადლობა ღმერთს, მთელი ოცი წელიწადია, ჩვენ ფირმას ვემსახურები!..

„ერთ ქალაქში დიდი ფოდრათი იყო ასაღები. მაშინათვე იმ ქალაქში გავჩნდი. ალღომ მითხრა, რომ მე დამრჩებოდა და დავიწყე ნიადაგის მომზადება...

უნდა მოგახსენო, ჩემო ბატონო, რომ საქმის დაწყებისას თავისს დღეში პირდაპირ უფროსს არ უნდა მიჰმართო. უფროსი, ამ შემთხვევაში, მიუკარებელი და ფიცხია. ერთის შებღვერით, ერთის შეტევით შენ საქმეს ჩაფუშავს, დალაგებულ და დაწყობილ გეგმებს გაგიმტვერებს. საქმე დაბლიდან, უმცროსებიდან, თუნდა მოსამსახურიდან უნდა დაიწყო...

თუ დაჰკვირვებიხარ ოჯახის გამაბიაბრუებელი მოსამსახურეა. ამან ოჯახის ყველაფერი გარემოება კარგად იცის და, თუ გინდა რომელიმე ოჯახის საიდუმლოება გაიგო, პირველად მოსამსახურეს დაუმეგობრდი, იგი მოინადირე.

„მე არა ერთსა და ორ ქალბატონს გავარშიყებივარ მოსამსახურის მეოხებით... მაგრამ ეს დარჩეს. ამას ისე, სხვათა შორის, ვამბობ. ან კი ვინ მოსთვლის რამდენი ოჯახის საიდუმლო გამიგია გოგო-ბიჭებისაგან!..

„ჰო... საქმე თუნდა დიდსა და კეთილ-განწყობილ დაწესებულებასთანაც რომ გქონდეს, დაბლიდან უნდა დაიწყო ხოლმე. ყველგან მოსამსახურეთა შორისაც კი, ერთი უფრო დაახლოვებულია უფროსთან, ან იმის თანაშემწესთან, ან საქმის მწარმოებელთან და სხვა-და-სხვა. აი, პირველად უნდა მოძებნო ეს კაცი. ის ბევრ რასმე გიამბობს, ბევრ სასარგებლო ცნობებს შეგატყობინებს და მერე შენ იცი, მოქმედების რა გეგმასაც შეადგენ.

„მე რომ ამ ქალაქში ჩამოვედი, დიდის რიხითა და ზეიმით მოვადექ იმ დაწესებულებას, ვისგანაც დამოკიდებელი იყო ფოდრათის საქმე. მიველ, მაგრამ იმ, დროს კი არა, როდესაც უფროსი იქ იყო, არა,—იმ დროს, როდესაც სამსახური თავდებოდა.

დაღალულ-დაქანცული მოხელეები მკვდრებივით მოფრატუნებდენ კიბეზე. კარებში ხალხი ირეოდა. მე გადმოვხტი ეტლიდან და დერეფანში შევედი, შვეიცარი მომეგება, გამხადა პალტო და ღიმილით მკითხა:

— თქვენ ვინა გნებავთ... თუ უფროსთან გაქვთ საქმე... აქ არ გახლავთო!

— სამწუხაროდ, დამაგვიანებია-მეთქი! ვუთხარი შეწუხებულის სახით. ხელები გავუწოდე, პალტო მომართვი-მეთქი, უცბათ გადავიცვი და შვეიცარს ხელში მანეთიანი ჩავუდე.

საწყალი კაცი სიხარულით კელაპტარივით აინთო!...

კარებისკენ სიჩქარით გავსწიე. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ისევ გამოვტრიალდი და მედიდურის, მაგრამ ალერს-ნარევის კილოთი ვუთხარი:

— გოლუბჩიკ! ვერ მოხვალ ჩემთან ნომერში? ცოტა რამ საკითხი მაქვს-მეთქი—დავეკითხე და სადარბაზო ბარათი გავუწოდე.

— გიახლებითო.—დამპირდა და მეც მოვშორდი.

რაღა ბევრი გავაჭიანურო, ამ შვეიცარის მეოხებით დაწვრილებით გავიგე, რომელი მოხელე რა უფლება—უპირატესობისა და ხასიათისა იყო, ან რაგვარ უნდა მენახა უფროსი.

5) ამურის ოლქი დამოუკიდებელი უნდა გახდეს;

6) ჩინეთი რუსეთს მანჯურიის მაგივრად ადგილს გობის უდაბნოს ნაწილს უთმობს;

7) რუსეთმა იაპონიას უნდა გადაუხადოს ომის ხარჯი არა ნაკლებ 500 მილიონ იენისა, დაუთმოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა და მისი უფლებანი;

8) რუსეთი მოვალეა სხვა სახელმწიფოების ნებადაურთველად შორეულ-აღმოსავლეთში ათზე მეტი სამხედრო გემი არ გაჰგზავნოს;

9) ჩინეთის ჯარების მოწყობა, (რეორგანიზაცია) იაპონელ ინსტრუქტორებს უნდა მიენდოს, ფლოტისა კი—ინგლისისა და იაპონიის ინსტრუქტორებს.

10) პორტ-არტური, დალნი, კიაო-ჩაუ და ვეი-ჰაი-ვეი ჩინეთს უბრუნდება;

11) იაპონია ამოისა და ფუჯოის 25 წლით იჯარით იღებს და სპობს 1895 წ. დეკლარაციას, რომლის ძალითაც ფორმოზის სრუტე სანეიტრალოა;

კორეის შესახებ:

1) იაპონია თავის ჯარს (არა-ნაკლებ ორ დივიზიისა) კორეის მნიშვნელოვან ქალაქებში აყენებს;

2) კორეას ნება არა აქვს იაპონიის ნებადაურთველად სხვა სახელმწიფოსთან რაიმე ხელშეკრულობა დასდოს;

3) იაპონიის ნებადაურთველად კორეას გარეშე სესხის აღების ნება არა აქვს;

4) ფოსტისა და ტელეგრაფის მართვა-გამგეობა კორეამ იაპონიას უნდა დაუთმოს;

5) კორეა მოვალეა იაპონიიდან მცოდნე პირები მოიწვიოს და რეფორმები შემოიღოს;

6) კორეა თავის ნაპირების დაცვას იაპონიას ანდობს;

7) უცხოელებს კორეაში ცხოვრების ნება ეძლევათ, მიწის შეძენა კი მხოლოდ იაპონელებს შეუძლიათ;

8) იაპონია კორეის ხელმწიფეს ყოველ წლივ 1 მილიონ იენს აძლევს (ნ. ვ.).

გენ. ლინევიჩის აზრი ზავისა და ომის შესახებ. „ნოვ. ვრ.“-ს გუნჯულინიდან დეპეშით ატყობინებენ: ეს არის ეხლა ლინევიჩი ვნახე და ვკითხე, ომი ურჩევნია რუსეთსა თუ ზავი მეთქი.—რასაკვირველია, ომი,—მიპასუხა ლინევიჩმა.—ჩვენის ფლოტის განადგურებამ ჩემი გეგმა არ შესცვალა. ეხლა ჩვენი ჯარი იმდენად ძლიერია, რომ არა თუ მოიგერებს იაპონელებს, არამედ იერიშსაც მიიტანს და სატევ ომზე გადავა. მე დარწმუნებული ვარ, რომ იაპონელებს დავამარცხებთ და გავანადგურებთ კიდევაც. (ნ. ვ.).

ადმ. ნებოგატოვის ესკადრის დატყვევება. „ვეჩ. კურიერ“-ს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: 15 მაისს რიერაზე იაპონელებმა დაინახეს ნებოგატოვის ესკადრა, რომელიც ერთ ადგილას იდგა. იაპონელებმა ერთხელ ესროლეს ზარბაზანი და ანიშნეს, დაგვნებდითო. რუსებმა ხმა არ გასცეს. იაპონელებმა ერთხელ კიდევ ესროლეს ზარბაზნები და კითხვა განუმეორეს, გვნებდებით თუ არაო. რუსებმა ხმა არ გასცეს, რუსეთის დროშები ჩამოუშვეს და ყველა გემზე იაპონიის დროშები აუშვეს. კრეისერის „აშიმოს“ უფროსი ნავში ჩაჯდა და რუსეთის ესკადრისკენ გასწია, მაგრამ რუსეთის ესკადრიდან ადმირალი ნებოგატოვი და ორი აფიცერი წამოეგებნენ და „აშიმო“-ზე ავიდნენ. ყველანი მუნდირებში იყვნენ გამოწყობილი, ფერი წასული ჰქონდათ, მკვდრებს ჰგავანდნენ. ყველანი „აშიმას“ უფროსს წარუდგნენ. ნებოგატოვმა სთქვა: „მე ჩემი ესკადრა უნდა დაგითმოთ“. „აშიმას“ უფროსმა მიუგო: „თქვენს ესკადრას მივიღებ; ხალხის ჟლეტა უნაყოფოა. სულ ერთია, ვეღარაფერს გახდებით“. რუსეთის აფიცრებმა და ნებოგატოვმა ხმის ამოუღებლივ იარაღი მოიხსნეს და იაპონიის კაპიტანს წინ დაუწყეს. იაპონიის აფიცრები რუსების გემებზე გადავიდნენ. „ორიოლ“-ზე საშინელი უწესობა იყო. ყველაფრიდანა სჩანდა, რომ მატროსები აჯანყდნენ და უფროსებს ყურს აღარ უგდებდნენ. თვითონ მატროსები დაგლეჯილ-დაფლეთილები და ჭუჭყიანნი იყვნენ. იაპონელებმა ესკადრა მაიძურუში მიიყვანეს. ნაპირზე აუარებელი ხალხი იდგა და „ბანზაი“-ს ჰყვიროდა (რ. ვ.).

ფრანგების აზრი უკანასკნელ ამბების შესახებ. „ჟურნალ“-ის კორესპონდენტი ნოდო, რომელიც რუსეთის ჯარშიაც იყო და იაპონიაშიაც, ტოკიოდან იუწყება: ცუსიმას სრუტეში საბოლოოდ გამოირკვა რუსეთის განუწყვეტელ დამარცხების მიზეზი. იაპონიამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ განათლებული და პროგრესის მოყვარე სახელმწიფოა. რუსეთი კი თავის ჩამორჩენისთვის დაისაჯა. მას შემდეგ, რაც რუსეთიცა და იაპონიაც მშვენივრად გავიცანი, იძულებული ვარ რუსებს პირდაპირ ვუთხრა: სანამ ახალ ფლოტს შექმნიდეთ, გარდაჰქმენით რუსეთის წეს-წყობილება და შეიტანეთ შიგ განათლება და სინათლე“ (რ. ს.).

„რუს. სლ.“-ს კორესპონდენტი პარიზიდან იწერება: დღემდის ფრანგები ანგარიშობდენ, შეუძლიან თუ არა რუსეთს გამარჯვებაო. დღეს კი ამაზე არავინ ხმას არ იღებს. ეხლა ადარებენ რუსეთისა და იაპონიის კულტურას, განათლებას, და პირდაპირ ამბობენ, რუსეთი 200 წლის განმავლობაში ჰყვირის, ევროპის განათლება მივიღეთო, და მაინც ვერ მიიღო, იაპონიამ კი 50 წლის განმავლობაში რუსეთს ისე გაუსწრო, რომ ამ ორ ქვეყნის შედარება არც კი შეიძლება. რას უშველის რუსეთს ათი მილიონი სალდათი? რას უშველის რუსეთს ასი გემი, როცა ეს რუსეთი მხოლოდ თიხის ფეხებიანი დევია და სხვა არაფერი? (რ. ს.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

ოზურგეთი, 28 მაისი. დღეს ოზურგეთის მახლობლად, ვაშნარში, ხუთი შეიარაღებული კაცი გზაზე დაეცა და გაძარცვა ნატანებიდან ეტლით მიმავალი მაზრის უფროსი ქელბაქიანი. დამნაშავენი მიიმალნენ.

ქუთაისი, 30 მაისი. დღეს საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, დაარსოს ტფილისში განყოფილება და დაუნიშნოს ერთი დირექტორი და დამფასებელი ტფილისის გუბერნიის მამულების მართვა-გამგეობისთვის.

ბათუმი, 30 მაისი. „მანთაშევის და ამხანაგობის“ საზოგადოების აქციონერთა კრებამ გადასწყვიტა, 2 ივნისიდან დაჰკეტოს ნავთის ქარხნები ბათუმში. ეს დადგენილება ეცნობა საფაბრიკო უფროსს ინსპექტორს. მუშებს ორის კვირის ხელფასი მიეცემათ. ამჟამად მარტო ეს ქარხნები-ღა მუშაობდა.

ახალი ამბავი

✦ პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მოსამსახურეებს ყოველ წლივ **მიეცემათ ორის კვირის თავისუფლება.**

რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა, კავკასიასა, პოლონეთში და სხვაგან **ერობის შემოღება გადასდოს** სხვა დროისთვის. ერობას შემოიღებენ მხოლოდ ციმბირში („ს. ოტ.“).

✦ ქართლიდან გვატყობინებენ: **თავად-აზნაურთა მილიცია, საცაა, დაიშლება.** მილიციონერებს ერთმანეთში დიდი უთანხმოება მოსდით. ათისა და ასისთავებს გაბიუროკრატება უნდათ: ცალკე სადილობენ, თავიანთ ცხენებს არ უვლიან და ყველაფერში თავიანთ ქვეშევრდომებს ასაქმებენ. ქვეშევრდომები პროტესტს აცხადებენ და „თანასწორობასა და ერთობას“ თხოულობენ. ერთის სიტყვით, მილიციაში ამჟამად სრული ანარქია არსებობს.

✦ ბაქოში ხმა დადის, **გენერალ-ადიუტანტი თავ. ამილახორი გენერალ-გუბენატორობას თავს ანებებს** და მის მაგივრად გენერალი ფადეევი ინიშნებაო (რ. ს.).

✦ გუშინ, 30 მაისს, ქალაქის მოურავის მოადგილემ თ-დმა ჩერქეზიშვილმა შემდეგი **დეპეშა მიიღო მოსკოვიდან ქალაქის მოურავის ვერმიშევისაგან:** „გაცნობებთ ნამდვილ რეზოლუციას საერობო და საქალაქო მოღვაწეთა და შეერთებულ ჯგუფების საერთო კრებისას. ქვეყნის სახსნელად საჭიროა: 1) დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნენ თავისუფლად ამორჩეულ ყველა ერის წარმომადგენელნი, მეფესთან ერთად სათათბიროდ ომის მოსპობისა, ზავის ჩამოგდებისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად. 2) დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქმნას კანონები და დაწესებულებანი, რომელნიც ზღუდავენ პიროვნების, სიტყვის, კავშირებისა და კრებების თავისუფლებას, და გამოცხადდეს პოლიტიკურ დამნაშავეთა სრული ამნისტია (პატიება). 3) დაუყოვნებლივ განახლდეს ადმინისტრაცია და მის შესავსებად მოწვეულ იქმნენ საზოგადოების ნდობით აღჭურვილნი, გულ-შემატკივარნი და პატიოსანნი მოღვაწენი“.

✦ მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორი აცხადებს, ინსტიტუტის სპეციალურ კლასების საბჭომ გადასწყვიტა, დ. გ. ქანანოვის ორი პრემია, ას-ასი თუმანი თითოს, დაუნიშნოს იმ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ თხზულებას ორს შემდეგ ტემაზე: 1) **სომეხთა კოლონიზაციის ისტორია, ცალკე კოლონიების ისტორიულ განხილვებთან ერთად, სომხის არშაკიდების დაცემიდან ჩვენს დრომდე** და 2) **პოლიტიკური და კულტურული დამოკიდებულება ქართველთა და სომეხთა უძველეს დროიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე.** ეს გამოკვლევანი უნდა დაიწეროს ან სომხურად, ან რუსულად, ან ფრანგულად და ან გერმანულად. ვადაა დანიშნული 1907 წლის 1 ენკენისთვემდე.

✦ 29 მაისს **ექსარხოსმა სამღვდელოების** კრებას შემდეგი პროგრამმა გადასცა. სასულიერო სასწავლებლის გადატანა ვერის სასაფლაოსთან, დედათა საეპარქიო სასწავლებლის საქმის მოწესრიგება და მის მოსამზადებელ კლასების მცხეთაში გადატანა მცხეთის სამთავრო დედათა სკოლასთან, სანთლის ქარხნის საქმის წარმოება, სასულიერო წოდების ღარიბ ობოლთა სამზრუნველოს მოწყობა. მრევლის სარწმუნოება-ზნეობრივ გაუმჯობესების შესახები საკითხი, სამრევლო სკოლებისა და სამრევლო სამკითხველოების საქმე, სასულიერო სასწავლებლებიდან სადვთისმეტყველო კურსების დაარსება, სამარხი კასა, სამისიონერო საქმე, წირვა-ლოცვის საქმე და სხვა ამგვარები.

✦ **ი. სულხანიშვილის მკვლელს აზნაურ ეგაძეს ორის წლით პატიმართა როტა** გადაუწყვიტეს.

✦ ქალაქის უმთავრეს ნაწილებში **არც გუშინ გაიღეს დუქნები.** მხოლოდ იმ ქუჩებზე, სადაც ზოგიერთი მაღაზია იყო ღია, კაზაკები და პოლიცია იდგა.

✦ გუშინ 30 მაისს, ქალაქის მოურავის მოადგილესთან წარდგნენ წარმომადგენლები ტფილისის ვაჭრებისა და სახლის-პატრონებისა და სთხოვეს მოსალაპარაკებლად **საბჭოს დარბაზი დაეთმოთ.** მოურავმა უპასუხა, ჯერ გუბერნატორს შევეკითხები, შემდეგ შეგიძლიანთ მიიღოთ პასუხიო.

✦ ნამესტნიკის თანაშემწე **შირინკინი პეტერბურგს გაემგზავრა.**

✦ „ჩერნ. ვესტნ.“ გადმოგვცემს შემდეგს ამბავს, რომელიც მომხდარა ბათუმში 26 მაისს: ორი სპარსელი მუშაობდა თურმე კაკაბაძის დუქანში. ერთს მათგანს რევოლვერი გავარდნია და მეორე დაუჭრია. დაჭრილს ყვირილი გაუბამს, მოცვივნულა ხალხი და დამნაშავის შეპყრობა მოუნდომებია. დაჭრილი მუნჯი ყოფილა, დამნაშავეს ამითი უსარგებლნია და დაურწმუნებია, რომ სპარსელი დასჭრა ერთმა ქართველმა, გვარად კ—ძემ, რომელიც მას ხელში ეჭირა და არ უშვებდა. ხალხს დაუჯერებია და უდანაშაულო კ—ძე კინაღამ გაუწყვეტია, მაგრამ მუნჯი მიხვედრილა, რაშიაც იყო საქმე, და ხალხისთვის, როგორც იყო, გაუგებინებია, რომ ის ქართველმა კი არა, სპარსელმა დასჭრა. საქმე ასე კარგად რომ არ გათავებულიყო,—ამბობს გაზეთი—ქალაქში გავრცელდებოდა ხმა, ქრისტიანმა მაჰმადიანი მოჰკლაო, და, ვინ იცის, ამ ამბავს რა შედეგი მოჰყვებოდაო.

✦ როგორც გავიგეთ, 121 პენზენის პოლკის **პოდპოლკოვნიკი თავ. ბარათაშვილი**, მუკდენთან ბრძოლის დროს დაჭრილი, **ტყვედ ჩავარდნია იაპონელებს**; ამჟამად იაპონიაში იმყოფება და ჭრილობა უკვე ურჩება.

✦ **ჩვენ გვატყობინებენ,** რომ კვერცხითა და წვრილ-ფეხობით მოვაჭრეებმა ტფილისიდან დეპეშები დაგზავნეს პროვინციაში—დასახელებულ სანოვაგეს ნუღარ გამოგვიგზავნით, რადგანაც აქ ვიღაცეები დადიან და გვემუქრებიან—ვაჭრობაზე ხელი აიღეთო.

✦ **ტფილისის გუბერნიის ექიმის თანაშემწე** რ. დ. მაჭავარიანი თიანეთის მაზრაში **გაემგზავრა ქსენონების დასათვალიერებლად.**

✦ შაბათს, 28 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, მერვე საპოლიციო უბანში, რაზიეჟის ქუჩაზე, ორ მეზობელ მოვაჭრეს, თათარსა და სომეხს, ერთის მუშტრის გამო ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს ამ ვაჭრებმა ერთმანეთი დასჭრეს. როცა მიხეილის საავადმყოფოში ჭრილობები შეუხვიეს, წაიყვანეს პოლიციაში და შერიგება მოსთხოვეს. თათარმა შერიგებაზე უარი განაცხადა. მთელი ორი დღე ისე იყვნენ, სანამ გამგეობის წევრნი ჩერქეზიშვილი, კოკჩაევი და თათართა კონსული პოლიცმეისტრის თანადასწრებით ამ საქმეში არ ჩაერივნენ.

✦ შაბათს, 28 მაისს, ვორონცოვის ძეგლთან, რაზიეჟე ქუჩაზე, შემდეგი ამბავი მოხდა. ეტლით მოდიოდა ამ ქუჩაზე უბნის ზედამხედველი შეპილო და ერთი კაცი მას ზურგიდან მერაბოვად მოეჩვენა. ამ მერაბოვს პოლიცია, დიდი ხანია თურმე, ეძებს სხვადასხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენისთვის. შეპილომ დააყენა ეტლი, მივიდა ამ კაცთან და უთხრა—წამომყევ საპოლიციო ნაწილშიო. კაცი გაექცა შეპილოს და არღუთინსკი-დოლგორუკოვის სახლის პადვალში ჩაირბინა, შეპილო გამოუდგა და რევოლვერი დაახალა ბეჭში. მაგრამ კაცი მაინც დაიმალა და შეპილომ ვერ იპოვნა. ცოტა ხნის შემდეგ ეს დაჭრილი კაცი შეხვდა ბოქაულის თანაშემწეს გაგიევს, რომელმაც მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს კაცი მერაბოვი კი არა, ქოდალოს მცხოვრები ალექსანდრე მამულაშვილი ყოფილა.

✦ შაბათს, 28 მაისს, ერევნის მოედანზე, მარგარიტა გაუფმანს 740 მანათი სხვადასხვა სახელმწიფოს ფული ამოაცალეს. პოლიციამ ერთი ნაწილი იპოვა.

✦ იმ დროს, როცა კონსული შაჰის დასახვედრად იყო წასული, ვიღაცას მისი სახლი გაუტეხია და 2000 მანათად ღირებული ნივთები და ფულად 150 მან. წაუღია.

✦ ერევნის მოედანზე მარიამ გრიგოლის ასულს გუგუშვილისას 800 მანათი ამოაცალეს. პოლიციამ ქურდები შეიპყრო. ერთი აღმოჩნდა ა. სომხიევი, მეორე ა. პეტროსოვი. მოპარულ ფულის მეტი ნაწილი დაუმალავთ ქურდებს.

ქუთაისის ცხოვრება

ბეჭდვითი საქმის წარმომადგენელთა კრება ქუთაისში.—ქუთაისის გუბერნიის სტუდენტთა დადგენილებანი.

22 მაისს მოხდა მესამე კრება ქუთაისში ბეჭდვითი საქმის წარმომადგენელთა. ტფილისელთა მაგალითით, ქუთათურებმაც ისარგებლეს და აქაც შესდგა „კავკასიაში ბეჭდვითი საქმის ურთიერთ შორის დამხმარებელ საზოგადოების“ განყოფილება. პირველ ორ კრებაზე ხსენებულ საზოგადოების წევრებად ამწყობები და მესტამბეები ჩაეწერნენ. ამათ მიემატა რამდენიმე ინტელიგენტი, პრესსის წარმომადგენელი, და ამრიგად გუშინდელ კრებაზე შესდგა 30-დე წევრი. ამათში, დამტკიცებულ წესდების ძალით, ზოგს შემოაქვს თვიურად 3 მან., ზოგს—1 მან., ზოგს 50 კაპ. და ზოგს—25 კაპ.

ტფილისის ამ „საზოგადოების“ მართველობამ უკვე იცნო კანონიერად თავის განყოფილების დაარსება ქუთაისში და მის წარმომადგენლად დაამტკიცა ნიკოლოზ გრასიმეს ძე პოლშინი, ხოლო მის მოადგილე-თანამშრომლად ისიდორე კვიცარიძე. ამრიგად ტფილისის „საზოგადოების“ ქუთათური განყოფილებაც უკვე შეუდგა თავის ფუნქციის შესრულებას და 22 მაისის კრებაზე უკვე დააყენა რამდენიმე საკითხი გადასაწყვეტად.

კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ექიმი ივ. გომართელი. ზ. პოლშინმა, რომელიც დაესწრო 15 მაისის კრებას ტფილისში, გააცნო წევრებს ამ საზოგადოების მოქმედება და მისი კასის მდგომარეობა. „ბეჭდვითი საქმის საზოგადოებას“ აქამდე შემოსვლია სულ 1168 მან. 40 კ.; მანვე მოახსენა კრებას, რომ ტფილისის გამგეობამ კომისია ამოირჩია, რომელმაც უნდა შეავსოს და შესცვალოს „საზოგადოების“ არსებული წესდება და ქუთაისის განყოფილებისთვის ინსტრუქცია შეადგინოს.

შემდეგ ზ. პოლშინმა აცნობა ქუთათურ წევრებს ისიც, რომ ტფილისში, 5 ივნისს, მოხდება არაჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც შეიმუშავებენ რეზოლუციას კავკასიაში ბეჭდვითი საქმის წარმომადგენელთა და პრესსის მდგომარეობის შესახებ. ამ რეზოლუციასო, სთქვა მან,—ქუთათურებმაც უნდა შევუერთოთ ჩვენი ხმაო. ამ წინადადების შესახებ დაადგინეს: გაეცნონ ეკატერინოსლავის ამგვარსავე რეზოლუციას და, თუ რაიმე საჭირო იქნება, ადგილობრივ პირობების მიხედვით, დაუმატონ მას და თავის რეზოლუციით გაგზავნონ ტფილისის კრებაზე თავიანთი წარმომადგენელი.

წევრებს მოახსენდა ისიც, რომ ტფილისის „საზოგადოებისთვის“ წევრობის სურვილი განუცხადებიათ გაზეთ „კავკაზის“ იმ 13 ასოთ-ამწყობს, რომელთაც, საერთო გაფიცვის დროს, ამხანაგებს მხარი არ დაუჭირეს და მუშაობდნენ. ტფილელთ ეს საკითხი ცნობების შეკრებამდე აღარ გადაუწყვეტიათ, ხოლო ქუთათურებმა კი დაადგინეს, ისინი არ იქმნენ წევრებად მიღებულნიო.

შემდეგ მსჯელობა ჰქონდათ საკუთარ ბიბლიოთეკის მოწყობის შესახებ და დადგინეს: 1) სთხოვონ ტფილისის გამგეობას, მოელაპარაკოს ყველა, როგორც ადგილობრივ რედაქციებს, ისე რუსეთისას, რომ მათ მუქად დაუთმონ საზოგადოებას თავიანთი გამოცემები. 2) ამოირჩიეს კომისია სამის კაცისაგან (პეთავლი დანგო, ს. ხუნდაძე და ი. გომართელი), რომელიც უნდა მოელაპარაკოს ქალაქის გამგეობას, დაუთმოს, თუ სულ მუქთად არა, ნახევარ ფასად მაინც, ერთი ოთახი ქალაქის შენობაში, სადაც უფასო სამკითხველოა, რომ აქ განყოფილებამ მოაწყოს თავისი ბიბლიოთეკა. წევრები იმედოვნებენ, რომ ქალაქის გამგეობა ამთავითვე ხელს შეუწყობს ამ სიმპატიურ საქმეს და ამ პირველ წელიწადს მაინც არას გადაახდევინებს. ამ იმედებით, კრებაზე ბიბლიოთეკის გამგედ ამოირჩიეს—ასოთ-ამწყობი ალექსანდრე კოხრეიძე.

კრებამ წევრების ამორჩევის წეს-რიგიც შეიმუშავა. რადგან ბეჭდვითი საქმე საზოგადოდ ფაქიზი საქმეა, არა სასურველ ელემენტების თავიდან ასაცილებლად, კრებამ დაადგინა, წევრები კარჩევით მიიღონ. ისინი უნდა წარმოადგინონ უკვე არჩეულმა წევრებმა თავის პასუხის მგებლობით; ხოლო ამრიგად წარმოდგენილებს კრებაზე კენჭის ყრით მიიღებენ.

კრებამ არ დაივიწყა აგრეთვე „საზოგადოებისათვის“ საშუალებაზე ზრუნვა; გარდა ბეჭდვითი საქმის წარმომადგენლობისა, ხსენებულ საზოგადოებაში ჩაწერა შეუძლია იმათაც, ვისაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ამ საქმესთან. ასეთი პირები ითვლებიან თანამგრძნობ წევრებად და „საზოგადოების“ სასარგებლოდ რამდენიც სურთ, იმდენს შემოიტანენ. გარდა ამისა, კრებამ დაადგინა, ჟურ-ჟურობით გამართოს კონცერტი ან წარმოდგენა, როცა ამისათვის შერჩეულ დროს იპოვის.

შავი-ქვის მრეწველმა ილარიონ გამყრელიძემ, გარდა ნივთიერ დახმარებისა, ბეჭდვითი საქმის ქუთათურ განყოფილებას კრებისათვის უსასყიდლოდ დაუთმო თავისი ზალა.

✦ ქუთაისში დღეს თითქმის ყველა უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობაა ჩამოსული; სამუშაო თუ უნივერსიტეტებში აღარ დაურჩათ, აქ მაინც უნდა ეწაფებოდნენ ამას, მაგრამ ჯერჯერობით მათ უმრავლესობას რაიმე საქმეში გართულს ვერ ვხედავთ, მეტწილი მათგანი უფრო ბულვარის სტუმრები არიან. მხოლოდ იმათ ერთ მშრომელ ნაწილს ხოლერის მოლოდინში განუზრახავს სახალხო ჯანმრთელობის საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს და ამ საკითხსა და სხვა საგნებზე მოსალაპარაკებლად 25 მაისს თავი მოიყარეს. ამ კრებაზე პირველ საკითხად დააყენეს საშუალო სასწავლებლებში გაფიცვის საქმე.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, აქაურ საშუალო სასწავლებლების გაფიცულ მოწაფეთა ერთმა ნაწილმა ფიცი გასტეხა და სასწავლებლებს დაუბრუნდა, ამ გასაკიცხ საქციელისა გამო სტუდენტებმა ასეთი რეზოლუცია დაადგინეს.

„ვინაიდან საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში გაფიცვა არის მინიმუმი იმისა, რის გაკეთებაც მოსწავლე ახალგაზრდობას შეუძლია იმ დიდ განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის, რომელიც ასე მოედო მთელს რუსეთს და ვინაიდან მისი წარმატება მეტად ძვირფასი უნდა ყოფილიყო ყველა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია განმათავისუფლებელ მოძრაობის გამარჯვებით, ჩვენ, 25 მაისს, თავმოყრილი სტუდენტობა, ვუცხადებთ უღრმეს განკიცხვას და გულისწყრომას იმ მოღალატურ სულმდაბალ საქციელისთვის, რომელიც ფიცის გამტეხელმა მოწაფეებმა ჩაიდინეს საშუალო სასწავლებლების გაფიცულ ამხანაგების წინაშე“.

ეს რეზოლუცია მიღებულ იქმნა 41 ხმის უმეტესობით, 6-ის წინააღმდეგ.

შემდეგ სტუდენტებმა უფრო ფართო, პრინციპიალური საკითხი წამოაყენეს—ესარის პიროგოვის ექიმთა ყრილობის დადგენილების მიღება და ადგილობრივ სასანიტარო აღმასრულებელ კომისიაში მონაწილეობაზე უარის თქმა. სტუდენტებს ეტყობოდათ ამ საქმეში დროის შესაფერი კეთილშობილური გრძნობები ამოძრავებდათ, მაგრამ სამსჯელობო საქმის უცოდინრობა-კი გვარიანად ეტყობოდათ. არამც თუ სხვა ფაკულტეტების სტუდენტები, თვით მომავალი ექიმებიც ნაკლებად იცნობდნენ საკითხებს. ალბად სტუდენტთა უმრავლესობას ჰგონია, რომ დიპლომიდან საზოგადო მოღვაწეობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი-ღაა და ჩამოვა თუ არა სამშობლოში, მოღვაწის სახელს მეისვე მოიხვეჭს და ამიტომ საჭიროდ არ სთვლის სპეციალურ საგნების გარდა, ცხოვრებისაც ადევნოს თვალ-ყური. ჩვენ გვაიმედებს თითო-ოროლა მშრომელი ახალგაზრდა. და აი, ამ თითო-ოროლა თავგამოდებულ მშრომელის მეოხებით 25 მაისის კრებაზე მათ უარყვეს ხოლერის წინააღმდეგ ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით მუშაობა და შეუერთდნენ რა პიროგოვის ექიმთა ყრილობის გარდაწყვეტილებას, დაადგინეს, მხოლოდ ქალაქის თვითმართველობასთან ერთად შეუდგნენ მუშაობას. უეჭველია, ქუთაისის სამკურნალო საზოგადოებაც ისარგებლებს მათის წინადადებით და ეს საქმიანი ძალა მიიმართება ხალხისათვის ნამდვილ სამსახურისაკენ. ეს უცხადესი მაგალითი იქნება იმ სკეპტიკოსთვის, რომელთაც ძველის ორგანიზაციების შეკეთებ-შემოკეთებით უნდათ ხალხის ახლანდელ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება...

ის.—არიძე.

ქვანიც ალაღადდებიან

(საქართველოს საეკლესიო ცხოვრების დეფექტების გამო).

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დიმიტრი, მტერი საქართველოს აწინდელ საეკლესიო მდგომარეობის შესახებ სიმართლის აღიარებისა, საქართველოს საექსარხოსოში არსებულ უწესრიგობას გამოესარჩლა. მე მინდა აღვნიშნო რამდენიმე ფაქტი და განსაკუთრებით კი ერთი, რომელიც მუსულმანთა ფანატიკურ ქვეყნებშიაც კი ძნელი საფიქრებელია,—ფაქტი, რომელიც ძალიან კარგად უნდა ახსოვდეს დიმიტრის: ის განგებ არ იხსენიებს ამ ფაქტს.

ტფილისში, წარსულ საუკუნის ნახევრიდან, არსებობს ალექსანდრე ნეველის ეკლესია, რომელიც აშენებულია დეკანოზის მჭედლიშვილის მეოხებით და რომელშიაც წირვა ყოველთვის ქართულ ენაზე იყო ხოლმე. მჭედლიშვილის სიკვდილის შემდეგ ამ ეკლესიაში დაწესდა სამი შტატი და ყველა თავისუფალ ადგილზე რუსების დაყენებას ცდილობდნენ. ამ რიგად ქართული ენა სრულიად განდევნეს ამ ეკლესიიდან, რომლის მრევლის ერთი ნაწილი სხვა ეკლესიას მიეწერა, ზოგი კი ვეღარ მოშორდა შეჩვეულ ტაძარს და ისევ იქ დარჩა.

1902 წელს აღდგომის შემდეგ დიმიტრიმ, რომელიც მაშინ ალავერდის ეპისკოპოსად იყო, ადგილობრივ უმაღლეს სასულიერო მთავრობის ბრძანებით, მოიწვია ქ. ტფილისის სამღვდელოება სამრევლოების გასაწესრიგებლად.

მეორე დღეს პირდაპირ კანცელარიაში ავედი. გამოვიხმე საქმის მწარმოებლის თანაშემწე, რომლის სახელი, მამის სახელი, გვარი და ხასიათის თვისება უკვე ვიცოდი და, დიდის ბოდიშის შემდეგ შეწუხებისათვის, ფოდრათის მდგომარეობა გამოვკითხე.

— ფოდრათი მგონი კიდევაც გასცემო!—მითხრა საქმის მწარმოებლის თანაშემწემ და ისე დაიღრიჯა, თითქოს მართლა ძლიერ სწყენოდეს.

— თუ შეიძლებოდეს, ნამდვილად გამიგეთ-მეთქი. დავეღრიჯე მეც და თავაღებით ვაგრძნობინე, რომ გასამრჯელოს არ დავიშურებდი.

„ეს დღეც ამით დავასრულე. მეორე დღეს უქმე იყო და მე და პეტრ პეტროვიჩი ერთ დიდებულ სასტუმროში შევიყარენით, სადაც იგი მე სადილად დავიპატიჟე... ძაან გადავაკვრევინე. კაი ფულიც დამიჯდა ეს სადილი, მაგრამ კაი საქმეც კი გავაკეთე.

მე უკვე ვიცოდი, რომ იმ დაწესებულების უფროსი, რომელსაც ფოდრათი უნდა გაეცა, ამ პეტრ პეტროვიჩის ცოლს... ჰყეიროდა, და გადავწყვიტე მეც დავახლოვდები ამ ქალს.—თუ ქალს ერთი საყვარელი ჰყავს, მეორესაც მალე გაიჩენს... როცა კარგად გადავხუხეთ და ბრუდერშაფტი დავლიეთ, პეტრ პეტროვიჩსა ვსთხოვე.

— რადგანაც აქ მთელი ორი თვე მომიხდება ყოფნა, გთხოვ, თქვენ სახლში მომეცით ბინა. ხარჯი ხარჯია და ბარემ ყოველთვის ერთად ვიყოთ მეთქი. პეტრ პეტროვიჩს ძლიერ ესიამოვნა. მართალია, სუფთად სცხოვრობდა, მაგრამ მაინც ხელ-მოკლე უხასიათო კაცი იყო. მოვრიგდით. პეტრ პეტროვიჩის უერთგულეს ცოლისაგან—მარია ივანოვნა ერქვა სახელად—დასტური ავიღეთ და, ორი თუ სამი დღის შემდეგ, რუდაკოვისას დავბინავდი.

„ახლა უკვე ვიცოდი, რომ ფოდრათის საქმე ჯერ გათავებული არ იყო.

ჩვენი ჯურის ჭილყვავები იმდონი მოფენილიყო, რომ თავის მეტოქეობით საქმის გადაწყვეტას აგვიანებდნენ.

მარია ივანოვნა დიდი მხიარული, არშიყი სმა-ჭამისა, ღხინისა, სამკაულებისა და ჩაცმა-დახურვის მოტრფიალე გამოდგა. არც მე გახლავართ ენა-ბლუ, დაბღური, პურა-ძეირი და ამიტომ მარია ივანოვნას მალე დავუახლოვდი... შემიყვარა გაგიჟებით, თუ, რასაკვირველია, იმ გვარ ქალს სიყვარული დაეჯერება, და მეც ისე ვაჩვენებდი თავს, თითქოს უიმისოდ ლუკმა ველარ ჩამედო პირში...

შევიყვარე მარია ივანოვნა და... **საქმეც მოეწყო!..**

მარია ივანოვნას დავეღრიჯე, უფროსთან საქმე მამიგვარე—მეთქი. უფროსმა მარია ივანოვნას ხათრი ვეღარ გაუტეხა და ერთ მშვენიერ და ჩემთვის ბედნიერ დღეს სამოცდა ხუთ-მეტი ათას მანეთის ფოდრათი კი გამოვკარ...

ბევრი ფული კი დამეხარჯა, მაგრამ განა ცალიერის ხელითა და წუწურაქობით საქმეს გააკეთებს ვინმე?—დაასრულა დომ თავისი ლაპარაკი და ეშმაკურათ, ნეტარად ჩაიხითხითა.

— არა, ძმავ, მე მაგას ვერ მოვახერხებდი მეთქი. გულ-წრფელად ვუთხარი მე.

— შენ მაშ საქმის კაცი არა ყოფილხარო.—ანდერძი ამიგო დომ.

— იქნება, იმიტომ ეკურკურები—ეს ვიღაც ქალებია-მეთქი?—დავეკითხე უსიამოვნობის თავიდან ასაცილებლად.

— Ну ихъ къ шуту!.. ისინი საავარაკოდ, მოსარჩენად, არიან მოსულნი... ქმრები მობეზრებიათო... ორაზროვნად ჩაილაპარაკა დომ!

— ტს! უცბად წამოიძახა დომ და ყურები აცქვიტა.—მოდის!..

ამ დროს გვერდით ჩამოგვიარა ფარშავანგივით გაფხორილმა ტერპსიხორა გალაქტიონოვნამ. ბ-მა დომ ცმუკვა დაიწყო... ერთხან აზმუკუნა, მერე ზრდილობიანად გამომემშვიდობა და ტუსტუსით გამოუდგა უკან.

ისეთის მოღიმარე, ბედნიერისა და უმანკო სახით მიდიოდა ბ-ნი დო, გეგონებოდათ, ჯერ ქია არ გაუღვიძებიაო.

მე დიდხანს ვადევნებდი თვალს, ვიდრე ხელი ხელს გაყრილნი ტერფსიხორა და ალექსანდრე ბუჩქებს არ მოეფარნენ. ტყემშთანქა იგინი...

ია ეკალაძე.

ამ კრებაზე, ს. შოშიევის წყალობით აღმოჩნდა ერთი შემაძრწუნებელი მოვლენა, რომ ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მღვდელი, რომელმაც ქართული ენა სრულებით არ იცოდა, აღსარებას ქართველებს თარჯიმანის წყალობით ათქმევინებდა ხოლმე, და ეს ხდება მართლმადიდებელ ქართველთა ყოფილ სამეფოში! რატომ ამის შესახებ არაფერს ამბობს თავის წერილებში ეპისკოპოსი დიმიტრი?

კომენტარიები საჭირო არ არის. საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში ამისთანა დეფექტები კი არა ერთი და ორია! ახლა ენახოთ, რა ხდებოდა დიმიტრის კერძო სამსახურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წარსულ წლის დამლევს ერთმა შტატ გარეშე მედავითნემ, გვარად აბაშიძემ, ქართულ ენაზე დაწერილი თხოვნა მიართვა დიმიტრის და დახმარება სთხოვა. დიმიტრიმ შემდეგი რეზოლუცია დაადგინა: ,,დაუბრუნდეს ქართულ ენაზე დაწერილი თხოვნა პატრონს. დაიწეროს თხოვნა რუსულ ენაზე. ე. დ.'' დიდხანს იმოგზაურა ამ თხოვნამ და ბოლოს ხელში ჩაუვარდა ქუთაისის ეპისკოპოსს ლეონიდს,—რადგანაც მთხოვნელი გურიაში მსახურობდა. ეპისკოპოსმა ლეონიდმა დახმარება აღმოუჩინა მთხოვნელს და ეპისკოპოს დიმიტრის შესახებ კი შემდეგი რეზოლუცია დაადგინა: ,,უნდა სცხვენოდეს ეპისკოპოსს დიმიტრის—ქართველს,—პოლიტიკანობა იქ, სადაც მშიერი ადამიანი ლუკმა-პურს თხოულობს. ე. ლ.'' მგონია, კომენტარიები არც აქ არის საჭირო, ახლა კი ვკითხავ ეპისკოპოსს დიმიტრის, ექს-ქართველს: საქართველოს ეპარქიაში ვიკარად ყოფნის დროს ქართველმა თავად-აზნაურობამ, ინტელიგენციამ, სამღვდელოებამ და ხალხმა პირი რად იბრუნეს თქვენგან? თქვენს გარშემო იმყოფებოდა მხოლოდ რამდენიმე კაცი, რომლებიც თქვენ, როგორც უფროსს, გეფლიდებოდნენ. ეს ხომ განუშორებელი ნიშანია ბიუროკრატიულ მმართველობისა. ნუ თუ თქვენ ვერ ატყობდით, რომ არც ერთი კეთილ-მოსაზრე ქართველი თქვენ სახლში არ გიდგმდათ, არ გიწვევდათ დასაფლავებაზე და, თუ თქვენ თითონ მიდიოდით, უარს გეუბნებოდნენ და თითქმის პირში რენეგატს, ექს-ქართველს და მოღალატეს გეძახდნენ? მოიგონეთ დასაფლავება ავქსენტი ცაგარელისა, როდესაც თქვენ უარი შემოგითვალეს პანაშვიდის გადახდაზე და თქვენგან გამოგზავნილი კაცი ლანძღვა-გინებით გაისტუმრეს. მოიგონეთ, რომ 14 ენკენისთვეს, ალავერდობას, სადაც ჩვეულებრივ ათი-ათასი მლოცველი შეიკრიბება ხოლმე, თქვენს იქ ყოფნის დროს, ეკლესია სრულიად ცარიელი იყო, და პოლიცია ხალხს ძალათ მიერეკებოდა მონასტერში თქვენი მრისხანების თავიდან ასაცილებლად. ნუ თუ დაგავიწყდათ, რომ თქვენ და თქვენს მარჯვენა ხელს პოლიტიკურ კითხვებში, ვოსტორგოვს, ქ. გორში, თავისს სახლში მიღებაზე უარი გითხრათ ცნობილმა გენერალმა თ-მა ამილახვარმა?

ქართველს არ უყვარს რენეგატობა; იმას ის ურჩევნიან, ნამდვილ რუსთან დაიჭიროს საქმე, ვიდრე იმისთანა ქართველთან, რომელიც ერთთავად იმის ცდაშია, რუსის მთავრობას როგორ ესიამოვნოს.

გადავიდეთ გურიაში; რას ვხედავთ იქ: ყველაფერმა და ყველამ პირი იბრუნა თქვენგან, იძულებული გახდით ჩოხა ჩაგეცვათ, ნაბადი წამოგესხათ და ისე გექცეულიყავით; მეეტლესაც კი არ უნდოდა თქვენთვის ეტლი ექირავებინა... დიაღ, მე ძალიან კარგად მესმის გურულების და მეგრელების პროტესტი, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი არ დადიოდნენ ეკლესიაში სალოცავად მაშინ, როდესაც თქვენ სწირავდით.

ყველა ეს მეასე ნაწილია იმისი, რაც თვითეულმა ჩვენთაგანმა იცის თქვენს შესახებ; თუ გნებავთ, სხვა საბუთებსაც წარმოვადგენთ, მაგრამ ესეც საკმარისია, რადგანაც ნ. ნ. დურნოვომ „რუს“-ის და „რაზსვეტ“-ის ფურცლებზე საკმარისად გამოარკვია თქვენის მოღვაწეობის ფიზიონომია, რისთვისაც მთელი სამღვდელოება მას უცხადებს უღრმეს მადლობას, თქვენ კი... („რაზსვეტ“-იდან).

მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე

პრესსა

რუსების უკანასკნელმა დამარცხებამ ერთი საშუალება კიდევ მისცა კონსერვატიულ გაზეთებს გაუთავებელი ყაყანი აეტეხათ სირცხვილზე, რომელიც მათ იაპონიამ მიაყენა. ბრაზ-მოკიდებული, გზა-კვალ-აბნეული ბიუროკრატია ეხლა ხალხისგან თხოულობს ომის დაბოლოვებას და სცდილობს დაარწმუნოს, რომ რუსეთის დამარცხება რუსის ხალხის დამარცხებაც არისო. ამის საპასუხოდ, აი, რასა სწერს გაზეთ ,,რუს''-ში ნ. კირილოვი:

> ლიბერალურ პრესსაში ისევე, როგორც ბიუროკრატიულსაში, დღეს მხოლოდ ერთს საგანზე ლაპარაკობენ: სირცხვილზე და დამცირებაზე. ეს ტყუილია! რაშია დამნაშავე დაბეჩავებული, უტყვი ხალხი, რომელიც ბიუროკრატიას მონობაში ეჭირა, შებორკილი ჰყავდა მისი ზნეობრივი და ეკონომიური შემოქმედებითი ძალები, რომ მთელი მისი მონაწილეობა სახელმწიფო ცხოვრებაში გამოიხატებოდა მხოლოდ გაუთავებელ ხარჯების ხდაში. რაშია დამნაშავე ხალხი, რომ ბიუროკრატიამ ძარცვა-გლეჯასა და უსარგებლო კონცესსიებს მიჰყო ხელი? არა, ხალხი არაფერში არ არის დამნაშავე და ამიტომ არც არაფრისა უნდა სცხვენოდესო.

—

პოლონელები არ ასვენებენ რუსებს,—რუსეთში ეროვნულ თავისუფლებაზე ლაპარაკობენ. ,,ნოვოე ვრემია'', რომელსაც რუსეთში რუსის მეტი არავინ არა სწამს, აქაც, რასაკვირველია, ცხარობს და დაწვრილებით გადმოგვცემს პოლონელების სურვილებს:

> პოლონელების სიტყვით, ახლანდელ მთავრობასთან არავითარ მოლაპარაკების გამართვა არ შეგვიძლიანო. ძირითად რეფორმების შემოუღებლად, ნახევარ ზომებით, კუდ-მოკვეცილ რეფორმებით ჩვენი დაკმაყოფილება არ შეიძლება. იმაზე ხომ ლაპარაკიც მეტია, რომ უნდა შემოვიდეს სრული ავტონომია. ეროვნულ საკითხის შესახებ მთელი ხალხი მოქმედობს ერთობით. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ზოგიერთს ახლავე ყველა უფლების მოპოვება უნდა, ზოგიერთი კიდევ ნაკლებსაც სჯერდება. პოლონელებში არავის უნდა განშორება რუსეთისაგან, უნდათ მხოლოდ, რომ რუსეთი ფედერატიულად მოეწყოს.

—

ყველას ახსოვს ექიმ ზაბუსოვის საქმე. ექიმი გენერალმა კოვალიოვმა გაალახვინა კაზაკებს. საქმე სასამართლოში სწარმოებს და ერთხელ სასამართლომ გაამართლა გენერალი, მაგრამ საზოგადოება ჩაერია საქმეში და დანიშნული შეიქმნა ამ საქმის მეორედ გარჩევა. ამ ამბის შეტყობაზე გენერალმა თავი მოიკლა. კოვალიოვს წერილი დაუტოვებია, სადაც სწერს:

> მე კიდევ შემეძლო იმის ატანა, რომ ჩემი საქმე ჩემ ამხანაგ ჯარის კაცებში გარჩეულიყო... მაგრამ არა-ჯარის კაცებში... როგორ უნდა ამეტანა სხვადასხვა ვექილების ლაპარაკი... მაგათ სამართალი კი არ აწუხებთ... მაგათ უნდათ მხოლოდ სამხედრო მუნდირის მასხარად აგდება...

გენერალმა კოვალიოვმა გამოსთქვა აზრი, რომელიც ბევრ სამხედრო სამსახურში მყოფს აქვს ამჟამად რუსეთში... არა-სამხედრო კაცები სრულ ადამიანებად არ მიაჩნიათ, სამხედრო სამსახურში მყოფნი რაღაც განსაკუთრებულ თვისების ადამიანები ჰგონიათ.

რუსეთი

პრესსის თავისუფლება. „მოსკოვ. ნედელია“-ს მესამე ნომერი ცენზურამ დაიჭირა. რედაქცია აცხადებს, მტკიცედა ვართ დარწმუნებულნი, რომ მალე დაგვიდგება ის დრო, როცა ხალხს ცენზურის საშუალებითა და მოაჯირის უკანიდან კი აღარ დავუწყებთ ლაპარაკს, არამედ ისე, როგორც თანასწორი მოქალაქენი ელაპარაკებიან ერთმანეთს.

„სინ ოტეჩესტვა-ს მე-81 ნომერში დაბეჭდილია: „მეთაური და ზოგიერთი სხვა წერილები ვერ იბეჭდება ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო“. იგივე გაცხადება დაბეჭდილია მე-82, 83 და 84 ნომრებში. გაზეთი „ზაპადნი გოლოს“ აცხადებს, რადგან არსებულ პირობებში გაზეთის გამოცემა შეუძლებელია, ამიტომ ჩვენის გაზეთის გამოცემას ვაჩერებთ იმ დრომდის, სანამ თავისუფლად ლაპარაკის დრო დაგვიდგებაო (ნ. ჟ.).

✦ პეტერბურგში ამბობენ, **საერო კრებას არ მოიწვევენ** იმ დრომდის, სანამ გენერალი ლინევიჩი ერთხელ კიდევ არა სცდის ხმელეთზე ომის ბედსაო (ს. ო).

✦ მთავრობას რუსის აუარებელი გლეხობა სთხოვს, **კავკასიასა და თურქესტანში გადასახლების ნება მოგვეცითო.** როგორც ვიცით, გადასახლება დროებით შეჩერდა. დღევანდელ დეპეშიდანა სჩანს, რომ მთავრობა დიდ დახმარებას გაუწევს გადმოსახლებულებს (ნ. ჟ.).

✦ ,,რუს. ვედ.“-ს გაუგია, რომ ბულიგინის პროექტით უნდა შესდგეს „სახელმწიფო რჩევა“, რომლის წევრებსაც ხუთის წლით აირჩევენ. დეპუტატს წელიწადში 2400 მანათი ექნება ჯამაგირად. „რჩევა“ განიყოფება 10 განყოფილებად (ეკონომიისა, კანონებისა და სხ.). „რჩევისა“ და განყოფილებათა თავჯდომარეებს თვითონ ხელმწიფე ნიშნავს. ქალებსაც მიეცემათ კენჭი, მხოლოდ ეს კენჭი მამაკაცის საშუალებით უნდა მიეცეს დეპუტატს. **არჩევანი არც საყოველთაო იქნება, არც პირდაპირი და არც ფარული** (რ. ვ.).

✦ 26 მაისს, **მინისტრთა საბჭომ მოისმინა** შინაგან საქმეთა მინისტრის **ბულიგინის პროექტი** საერო წარმომადგენლობის შესახებ. ამ პროექტის განსახილველად ხელმწიფემ შეადგინა შემდეგი კომისია: დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე, სტატს-სეკრეტარი ფრიში, ვიტტე, მინისტრები: სამხედრო, იუსტიციისა, საერო განათლებისა, სასახლისა; სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი, სახელმწიფო სეკრეტარი იკსკულ ფონ-გილდენბრანტი, სახელმწიფო კონტროლიორი ლობკო და მინისტრთა კომიტეტის საქმეთა მმართველი ნოლდე (ს.).

✦ ამბობენ, ამ მოკლე ხანში უცხო საქმეთა მინისტრი გრაფი **ლამზდორფი სამსახურიდან გადადგებაო.** იმის ალაგას ნიშნავენ იუსტიციის მინისტრად ნამყოფ გრაფ მურავიოვს (რ. ვ.).

✦ ამ დღეებში პეტერბურგში **შესდგა კავშირთა კავშირი,** რომელშიაც მონაწილეობას იღებენ შემდეგი კავშირები: 1) რკინის გზებში მოსამსახურეთა, 2) ექიმებისა, 3) საერობო კონსტიტუციონალისტებისა, 4) ქალთა თანასწორობისა, 5) ინჟინერებისა, 6) აკადემიკებისა, 7) ვექილებისა, 8) კონტორშჩიკებისა, 9) სახალხო სკოლების მასწავლებლებისა, 10) საშუალო სასწავლებლების მასწავლებლებისა, 11) ფარმაცევტებისა, 12) ებრაელებისა, 13) ჟურნალისტებისა, 14) აგრონომებისა და სტატისტიკოსებისა და 15) ბეითლებისა (რ.).

✦ ამჟამად სამხედრო სამინისტროში მუშაობს ერთი კომისია, რომელმაც უნდა გამოსძებნოს ის ზომები, თუ **როგორ გაიგზავნოს ოფიცრები ბრძოლის ველზე.** განზრახულია სამსახურში მოიწვიონ სამსახურიდან გადამდგარი ობერ-ოფიცრები, რომელნიც 50 წელზე ხნიერნი არ იქნებიან, და შტაბ-ოფიცრები, 60 წლამდის (რ.).

✦ რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ულიანოვი სამსახურიდან გადის. მიზეზი ის არის, რომ ულიანოვსა და რიგის პოლიტეხნიკუმის ადმინისტრაციის დიდი უთანხმოება მოსვლიათ იმის გამო, რომ იანვარში **პოლიტეხნიკუმის ფანჯარაში სამგლოვიარო—შავი დროშა ეკიდა სამი დღის განმავლობაში** (რ. ვ.).

✦ ნოვო-ჩერკასკის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე გაზეთ „დონსკაია რეჩ“-ის თანამშრომლის, ვორობიოვისა, რომელმაც **სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით პოლიტიკური მოწოდება შეადგინა.** ვორობიოვმა აღიარა, ეგ მოწოდება ჩემი შედგენილიაო. ვორობიოვი გაამართლეს (რ. ვ.).

✦ ვილნოს სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ანნა ბორიშკინისა, რომელიც სარევოლუციო პარტიის წევრად ითვლებოდა. ბორიშკინისა დააპატიმრეს ოდესაში 1902 წ. გაზაფხულზე და 16 თვის განმავლობაში დაპატიმრებული ჰყავდათ. ამას შემდეგ ბორიშკინი 2 წლის განმავლობაში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. 1903 წ. ნოემბერში ხელმეორედ იქმნა დაპატიმრებული ვილნოში. ციხეში კიდევ ერთის წლით ჩასვეს. სასამართლოში ბორიშკინამ განაცხადა, **დამცველი არ მინდა, თქვენ პასუხს არ მოგცემთ და ვთხოულობ საზოგადოების-მიერ ამორჩეულ სამართალს,** რომელიც ჩემს საქმეს საჯაროდ განიხილავსო. მე ბრალსა მდებთო, მაგრამ ჩემი საქციელი დანაშაული კი არ არის, არამედ სამოქალაქო მოვალეობააო. სასამართლოს თავმჯდომარემ სიტყვა გააწყვეტინა და დაემუქრა, დარბაზიდან გაგაყვანინებთო. ბორიშკინა სიტყვის თავისუფლებას თხოულობდა. მოსამართლემ რამდენიმე კითხვა მისცა საქმის შესახებ, მაგრამ ბორიშკინამ უარი სთქვა, პასუხს არ მოგცემთო. სასამართლომ ბორიშკინას $1^1/_2$ წლით ციხეში დაპატიმრება გადუწყვიტა (ნ.).

✦ ვარშავის ქალთა საზოგადოებამ რუსეთის მთავრობას სთხოვა, ნება მოგვეცით დავრდომილ ქალებისათვის დავაარსოთ შრომის სახლი, სადაც ამ ქალებს თავშესაფარი, სამუშაო და გასართობი ექნებათო. **მთავრობამ უარი უთხრა** (რ. ს.).

✦ ვენაში ერთ თეატრში ადგენენ 6-მოქმედებიან პიესას, რომელსაც სახელად „სად არის გმირი“ ჰქვიან. **სიუჟეტი რუსეთ-იაპონიის ომიდან არის აღებული.** მომქმედნი პირნი: გულუბრყვილო კაცი—გენ. კუროპატკინი; კეთილშობილი მამა—გენ. ლინევიჩი; ტრაგიკოსი—სტესელი; კომიკი—ალექსეევი; ავაზაკი და რეზონიორი—გრიპენბერგი; პრანჭია — სკრიდლოვი; ხალხი, კორესპონდენტები, მწერლები, ჯარი და სხვა. (სლოვო).

✦ ამას წინად პავლოვსკში დემონსტრაცია მოხდა ომის წინააღმდეგ. **ჯარმა სროლა დააპირა.** ამან ისე შეაშინა ერთი ქალი—გილვანი, რომ გული გაუსკდა და გარდაიცვალა. ქ-ნი გილვანი პეტერბურგში დამარხეს. კუბოს რამდენიმე ათასი კაცი მისდევდა (რ. ვ.).

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება.

კვირას, 30 მაისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება დაიწყო. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ჩოლოყაშვილი. განხილულ და დამტკიცებულ იქმნა ბანკის მოქმედების ანგარიში წარსულის წლის განმავლობაში. შემდეგ კამათი ასტყდა ბანკის აწინდელ არა-ნორმალურ მდგომარეობაზე, რაშიაც, როგორც კრებაზე გამოირკვა, დანაშაული უნდა მიუძღოდეს ბანკში თანამდებობის მქონე რამდენსამე კაცს. გამგეობამ ვერ დაასახელა ნამდვილი დამნაშავენი და ვერც მათი დანაშაულობა განსაზღვრა, რადგან ჯერ-ჯერობით ყველა მასალები ხელთ არა ჰქონია, ის კი განაცხადა, თანამდებობის რამდენსამე კაცს ან უნებლიეთი შეცდომა, ან დანაშაული უნდა ჰქონდესო. კრებამ დაადგინა, ორი კვირა მიეცეს გამგეობას მასალების შეგროვებისა, გამორკვევისა და დაბეჭდვისათვის. ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ თ-დმა ი. ჭავჭავაძემ განაცხადა, საქმე სერიოზულია, ხანგრძლივ შრომას მოითხოვს, მასალების დაბეჭდვასაც დიდი დრო დასჭირდება და ამიტომ ორი კვირა საკმარისი არ არისო. მცირე ბაასის შემდეგ კრება ორშაბათ დილისთვის გადაიდო. ორშაბათის კრება ფრიად უნაყოფო იყო და რწმუნებულთ ბევრი არა გაუკეთებიათ-რა. პირველად დაამტკიცეს წინა დღის კრების ოქმი და შემდეგ გააუქმეს ოქმის ის მუხლი, რომლითაც გამგეობას მასალების დასაბეჭდად მხოლოდ ორის კვირის ვადა ეძლეოდა. კრებას ამას შემდეგ განსახილველად წარედგინა რამდენიმე საკითხი, მაგრამ მათი განხილვა გადაიდო იმავ დროსთვის, როდესაც საბრალმდებლო მასალები უნდა განიხილონ. კრებაცა და თანამდებობის კაცთა არჩევნებიც, ხმის უმეტესობით, პირველ სექტემბრისთვის გადაიდო. ამის შემდეგ კვლავ ასტყდა ცხარე კამათი. ერთნი ამტკიცებდნენ, ეს დრო ძალიან დიდიაო. არ იქმნა და ვერ გადასწყდა, კრება როდის დაინიშნოს. საქმე გათავდა მით, რომ კრება დღეისთვის გადაიდო. დღეს საბოლოოდ უნდა გადაწყდეს, თუ რამდენი ხანი დასჭირდება გამგეობას მასალების შესაკრებად, რომ კრების გაგრძელებაც იმ დროისთვის დაინიშნოს. კრება სამ საათზე გათავდა.

კორესპონდენცია

ქ. გორი, 25 მაისი. გორიც თითქოს დაადგა ცხოვრების ახალ გზას, მოიფშვნიტა საუკუნეობით ძილისგან დასუსტებული თვალები და, თუმცა ძვირად დაუჯდა მას ეს, თუმცა თავისი თორმეტი შვილი შესწირა მას მსხვერპლად 14 მარტს მომხდარ დემონსტრაციის დროს, მაგრამ მაინც ხეირიანად ვერ გამოერკვა, ვერ გაიგო, რა მოხდა ან რა ხდება ქვეყნად და მის თავზე.

ახალი თაობა კი თავისას ცდილობს: მისის მეცადინეობით გორის დუქან-მაღაზიები ახლა დიაა მხოლოდ დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე, თუმცა რაღაც მიზეზის გამო ამ ზოგად კანონს სამიკიტნოები კი არ ექვემდებარებიან,—ისინი მაინც ჩვეულებრივ ადრე იღება და მთელი დღე და ღამე შიგ განუწყვეტლივ ქეიფია; ისინი ჩვეულებრივზე მომეტებულად არიან აღვსილნი ხალხით, რის მიზეზი ისიც არის, რომ დუქან-მაღაზიების დაკეტვის შემდეგ ბევრი ნოქარ-დახლიდარი და თვით პატრონიც ესტუმრება ხოლმე ამ სტუმართ-მოყვარე ადგს, ან კი რა ჰქნან, როცა სხვა ადგილი არა აქვთ. მოგეხსენებათ, რომ გორი თუმცა ქალაქია, მაგრამ, რადგან განგების ძალით, აქ ბიბლიოთეკა-სამკითხველო არ არსებობს. აქ არის მხოლოდ, ეგრედ-წოდებული, საქალაქო ბაღი, რომელიც შარშან გორელებმა თავისი ხელით გააკეთეს, ახლა კი შიგ უბილეთოდ, ე. ი. უფასოდ არავის უშვებენ, რათაც ხალხი ძალიან უკმაყოფილოა,—ბაღი ჩვენ გავაკეთეთ და შიგ კი სხვები სეირნობენო.

აქაურმა „აზვარ-დამტვრეულ“ ლიბერალობით აღჭურვილმა პირებმაც გაარკვევეს თავიანთი მეუფათობა და სხვადასხვა მიზნით საზოგადოებას საზოგადოებაზე აარსებენ. ეს რამდენიმე ხანია, მათ დააპირეს დააარსონ გორში ურთიერთ საზოგადოების დამხმარე ბანკი და სამარხო კასსა, რაზედაც ხელის მოწერა უკვე, დიდი ხანია, გამართულია. წარსულ კვირას, 21 მაისს, გორის ქალაქის მამასახლისის მიერ მოწვეულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა: დააარსონ საქველ-მოქმედო აზრით საზოგადოება, რომლისაც მიზნად ექმნება ღარიბების დახმარება, ხალხურ კითხვების გამართვა და სხვა. საწევრო ფული წელიწადში 2 მანათია...

ამას წინად რამდენსამე ხარისხოვან პირს აქ კერძო კრება ჰქონდა, რათა შეემუშავებინათ, საერობო მმართველობაში ვისა ჰქონდეს ხმა, როცა შემოიღებენ საქართველოში. გადასწყვიტეს: მოჰქონდეთ ცნობები, ვისაც აქვს 250 ან 100 დესეტინაზე მეტი. იქნებაც, ვისაც ამაზე ნაკლები აქვს, ან სულ ვისაც არა აქვს-რა, ისინი ჯერ მოუმზადებლად უცვნიათ...

გორის ქალთა პროგიმნაზიას უმატებენ მეშვიდე კლასსაც და ამას იქით იგი ხდება სრულ გიმნაზიად. სწავლა-გამოცდები დამთავრდა 14 მაისს. წელს უკანასკნელ მეექვსე კლასში სწავლობდა სულ 19 ქალი; ამათგან 10 ქართველია.

გორის საქალაქო სასწავლებელშიაც 14 მაისს გათავდა ეგზამენები. სწავლა დაამთავრა სულ 15 კაცმა. ამათგან ქართველი შვიდია.

გ. ჩამოძე.

ღამის დეპეშები

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან

29 მაისი

ვაშინგტონი, 29 მაისი. რუსეთისა და იაპონიის პასუხები რუზველტის ნოტის გამო ვაშინგტონში წუხელის მიიღეს. ორთავე პასუხში თანხმობაა გამოცხადებული პრეზიდენტის წინადადებაზე და კმაყოფილებაა გამოცხადებული იმის გამო, რომ პრეზიდენტი კისრულობს საკეთილო შუამავლობას. პასუხებს არ გამოაქვეყნებენ.— ეხლა გამოცხადდა, რომ საფრანგეთიც მხარს უჭერდა რუზველტს და მასთან ერთად სცდილობდა დრო შეერჩია სამშვიდობო ლაპარაკის ჩამოსაგდებად.

პარიზი. ვაშინგტონიდან მოსულმა ამბავმა, რომ რუსეთსა და იაპონიას რუზველტის წინადადება მიუღიათ, აქ საერთო აღტაცება და სიხარული გამოიწვია, როგორც მშვიდობიანობის მომასწავებელ დიდმნიშვნელოვან მოვლენამ. იმედოვნებენ, რომ რუზველტი საფრანგეთისა და ინგლისის დახმარებით იაპონიას შეამცირებინებს მოთხოვნილებას და ზავის დადება შესაძლებელი შეიქმნება.

პარიზი, 29 მაისი. იაპონია რომ ამბობს, რა გარანტიას მოგვცემს რუსეთი, რომ ომი ისევ ჩქარა არ აგვიტეხოსო, გაზ. „ტან“-ი სწერს, ყველაზე უკეთესი გარანტია ის იქნება, რომ ზავის დადების შემდეგ რუსეთთან მეგობრული ხელშეკრულობა დასდოსო.

ტანჟერი, 29 მაისი. 23 მაისს არაბებმა მოჰკლეს და გაძარცვეს ინგლისელი მადლენი, რომელიც ავსტრიისა და დანიის ვიცე-კონსულად იყო მაგაზანში. მადლენის ცოლი მძიმედ დაჭრილია. მკვლელნი მიიმალნენ. ინგლისისა და ავსტრიის წარმომადგენლებმა სულთანს ბეჯითი პროტესტი განუცხადეს.

ნოვოჩერკასკი, 29 მაისი. სახალხო განათლების დამხმარე საზოგადოების საგანგებო კრებამ დაადგინა, დეპეშა გაუგზავნოს მინისტრთა საბჭოს, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნან ხალხის წარმომადგენლნი.

სკოპინი, 29 მაისი. უკანასკნელ დღეებში ადგილობრივ სტუსაოდან სამი ყველაზე უფრო საშიში დამნაშავე გაიქცა. დღეს სტუსაღოში „ბუნტი“ მოახდინეს, მაგრამ დარაჯებმა რამდენჯერმე თოფი ისროლეს და „ბუნტოვშჩიკები“ დააწყნარეს.

მოსკოვი, 29 მაისი. დაჰკრძალეს საცვა მოროზოვის ცხედარი. კუბოს მუშები მიასვენებდნენ.

მინსკი, 29 მაისი. მინსკის მაზრის მე-4 ნაწილის საერობო უფროსი ნაზარიევი ზურგში დასჭრეს რევოლვერით ფანჯრიდან. დამნაშავე დაიმალა. 28 მაისს მაზრში სასიკვდილოდ დასჭრეს უბნის ზედამხედველი ნოვიცკი. ერთი დამნაშავეთაგანი იან გალ ნიმბაროვსკი დააპატიმრეს.

ელისავეტოგრადი, 29 მაისი. ნოქრები და ადგები შეთანხმდნენ და დააწესეს 13 საათის მუშაობა დღეში მაისიდან სექტემბრამდე, დანარჩენ დროს—12 საათი.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ. 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. (11 ს. 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

კანტორა

„კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საზოგადოებისა“ იმყოფება ქ. ტფილისში, ტურგენევის ქუჩაზე, № 11, და ღიაა დილის 9 საათიდან 11 საათამდის. (10—უ—8)

იყიდება ორთქლით მმოძრავი მანქანა, რომელიც გამოდგება ხე-ტყის სახერხ მანქანისთვის და სხვაგვარ საჭიროებისთვისაც. მანქანის დათვალიერება შეიძლება ყოველ-დღე, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე, მე-2 სავაჟო გიმნაზიის პირდაპირ, ქუთათელაძის შეშის საწყობში.—ფასის გაგებაც იქ შეიძლება. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის 4 იენისისთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის ერთის ნაჭერის მიწის იჯარით გაცემაზე, რომელიც იმყოფება პოლიციის მე-10 ნაწილში, ტფილისის დამოქნის პირდაპირ, და ზომით არის 726,3 კვ. საჟ. ეს მიწის ნაჭერი გაიცემა შეშისა, საშენებელ მასალებისა და საქონლის საკვების საწყობებისთვის. (3—2)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში . 20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა . 20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა. 20

დარბაზის კედლებზე მოსართავი სურათები:

შოთა რუსთველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 40 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია **„ცოდნა“.** **სოსიკო მერკვილაძე.** (20—1)

НЕСТЛЕ
Дѣтская молочная мука
Сгущенное молоко Нестле.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 мая 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.